წლიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 20 თებერვალი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 5

## ჟურნალის შინაარსი

ორიენტაციის საკითხები — ყარიბი. პოლიტიკის გარეშე მდგომი პოლიტიკა — ზ. ჩახვაძე. მთავარ სახელოსნოების წარმოების და კავშირის წინსვლა — კ. მავარაძე. ჩვენი კულტურის მამოძრავებელი სიმაღლეები — ლეო შენგელაია. რა იყო და რა იქნება — სან. გვიმრაძე. გულწრფელი სიტყვა ზოგიერთ გულუბრყვილოებს — პეტრე ხურცილავა. მშ ომელთა ჯანმრთელობისათვის — ექ. ივ. ლორთქიფანიძე. აღმშენებლობისაკენ — ივ. ხელაძე. კვირიდან-კვირამდე. ღია წერილი ემიგრანტ ისიდორე ქარსელაძეს პარიზში — ალ. ვადაჭკორია. დავიჯერო? — ლავრ. ნაკაიძე. ვაი სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე — ვას. კირვალიძე. სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს — ლადიკო ყენია. რუსული ენა და ჩვენი ახალგაზრდობა — მასწ. სოლ. მესტიაშვილი. საქართველოს სიმდიდრე — ექ. გრ. კუნჭულია. ლექსი — გ. ქუჩიშვილის. ყოფ. ახ. მარქსისტთა განყოფილება. პროვინცია.

ორშაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ლენინის რაიონში პლეხანოვის სახ. კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება თბილისის

## ახალგაზრდების რწმუნებულთა თათბირი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2) ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობის წლიური ანგარიში.
3) მომავალი სამუშაო გეგმა და
4) მიმდინარე საკითხები.

# ორიენტაციის საკითხები

## I.

საქართველოს ორიენტაციის საკითხი ერთობ დიდი საკითხია, მაგრამ ის დიდი ხანია რაც უკვე გადაწყვიტა თვით საქართველოს ტერიტორიალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ; დიდი ხანია რაც ეს საკითხი გადაწყვიტეს თვით ქართველმა ხალხმა და მისმა საუკეთესო შვილებმა.

მას შემდეგ, რაც მცირე აზიაში ისლამის მაღიარებელი ხალხი შეიჭრა, რაც ის ბიზანტიის იმპერიას დაეპატრონა და შავი ზღვის გასაღები ხელში ჩაიგდო, საქართველოს წინაშე მთელი თავისი საშინელებით წამოიჭრა ორიენტაციის საკითხი. ჩვენი ქვეყანა ძალად მოსწყვიტეს „ევროპის ცივილიზაციის კერას", ძალით მოუსპეს მას ევროპისაკენ მზერის საშუალება და აიძულეს პირი ჩრდილოეთისაკენ ექნა. საუკუნეთა განმავლობაში იწევდა იგი „ერთმორწმუნე" რუსეთისაკენ. და მხოლოდ მე-XVIII საუკუნის დასასრულს მოხდა ქართველი ერის ასეთი ისტორიული მისიის რეალიზაცია, მხოლოდ მცხოვანმა მეფე ერეკლე მეორემ შესძლო ერის ამ ისტორიული მისწრაფების ფაქტად გადაქცევა, რითაც მან პირდაპირ დაღუპვისაგან იხსნა თავისი ქვეყანა.

მართალია, ირაკლი მეორის ასეთი ნაბიჯი მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში არ იყო მაინცა და მაინც მოწონებული ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებაში. მცხოვანი ირაკლის ასეთი ნაბიჯი ბევრს საქართველოს ღალატად, მის დამღუპველად მიაჩნდა. ნ. ბარათაშვილი თითქმის პირველი იყო ჩვენში, რომელმაც ღირსეულად დააფასა რუსეთისა და საქართველოს დაკავშირების აქტი. „ქართველთ ბაირონმა" თავისი არწივის თვალებით განსჭვრიტა საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი და მუხლი მოიყარა მეფე ირაკლის საფლავის წინაშე:

„აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი.
და ვჰსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი...
...სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!".

მხოლოდ ბარათაშვილმა დააფასა მეფე ირაკლის მიერ რუსეთისაკენ გადადგმული ნაბიჯი, მხოლოდ მან დააფასა საქართველოს ოსმალეთისა და სპარსეთის მახვილიდან გადარჩენის მნიშვნელობა:

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა"...
ამ ერთ სტრიქონში გენიალურად გამოსთქვა პოეტმა ჩვენი ქვეყნის მკვდრეთით აღდგენა.

მხოლოდ მე-XIX საუკუნის მიწურულში მიიღო ღირსეული დაფასება და გამართლება ერეკლეს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა, მხოლოდ მესამე დასელებმა და ს. ს.-დ. პარტიამ დაასაბუთეს ეს უდიდესი აქტი საქართველოს ისტორიაში, მხოლოდ მათ შეასხეს ხორცი ამ მშრალ იურიდიულ აქტს, მხოლოდ მათ მოუპოვეს მას თეორეტიული და პრაქტიკული გამართლება.

მერე იცით ვინ მეთაურობდა ამ დიდ საქმეს?

ამ საქმეს მეთაურობდა ის ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია, რომელიც დღეს ასე შეუბრალებლად სწვავს ცეცხლში თავის ჩინებულ წარსულს, ის ნ. ჟორდანია, რომელიც დღეს უარყოფს თავისი და თავის პარტიის ამდენ ნაამაგარს ამ საქმეში და საქართველოს ურჩევს: ზურგი უბრუ-

ნე ბარბაროსების ქვეყანა რუსეთს და კულტუროსან ევროპაში ეძიე მეგობრები და დამცველებიო.

ის ნოე ჟორდანია, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩვენი თაობა 35 წელიწადი იბრძოდა რუსეთისა და საქართველოს შორის კავშირის განსამტკიცებლად, დღეს რასულზადე მამედ ემინთან, ბამატთან, გიორგი გვაზავასთან და სხვებთან ერთად გვეუბნება: სისულელე იყო მთელი ჩვენი ორმოცი წლის ნამუშევარი, სისულელე იყო საქართველოსთვის საუკუნეთა მიერ ნაკარნახევი ისტორიული მისია, რომელიც ერეკლე მეფემ შეასრულა, სისულელეა რუსეთთან კავშირიო. საქართველომ და საერთოდ ამიერკავკასიამ საუკუნოთ უნდა განშორდეს რუსეთს და ევროპას უნდა დაუკავშირდენო.

რა მოხდა? რამ შესცვალა ნოე ჟორდანია? რამ აალებინა მას ხელი, რამ ათქმევინა უარი თავის საკუთარ ბრწყინვალე წარსულზე?

ჯერ ჩვენ მის ნაწერებში ამის პასუხს ვერ ვხედავთ. ალბათ ამის პასუხს გვეტყვის იგი ოდესმე. ალბად ის შეეცდება თავისი ახალი იდეიის დასაბუთებას...

და სანამ მას ეს არ მოუქმედია, ჩვენ, ნოე ჟორდანიას ყოფილი მოწაფეები, ამ საკითხში მაინც დავრჩებით ბოლომდე მის მოწაფეებათ და ვიტყვით, რომ ახალი საქართველოს ისტორიაში უდიდესი და უბედნიერესი მომენტია არა ის დღე, როცა საქართველო **იძულებული შეიქნა** რუსეთს განშორებოდა, არამედ ის დღე, როცა რუსეთ-საქართველოს კავშირის იდეიამ საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა მეფე ირაკლიმ საქართველოს ორიენტაციის საკითხში გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და ქართველის ბედი დიდი რუსეთის ხალხის ბედს დაუკავშირა.

ჩვენ ამით სულაც არ ვფიქრობთ შეურაცხყოფა მივაყენოთ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სუვერენობის იდეიას. პირიქით ჩვენ არა ერთხელ საქვეყნოთ გვითქვია და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ მთელის ჩვენის არსებით ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის... ჩვენ მარქსისტები გახლავართ და მაშასადამე ჩვენთვის ცხადია, რომ ყოველ ერს აქვს უფლება თავისი ნაციონალური სახე დაიცვას, თავისი დამოუკიდებელი არსებობისათვის იბრძოლოს. დღეს ამის შესახებ დავა მეტია. საბჭ. ხელისუფლებას თუ კი რამე შეიძლება ვუსაყვედუროთ ამ სფეროში მხოლოდ ის, რომ მან, ჩვენის აზრით, კიდეც გადაამეტა სრულიად პატარა, კულტურულად და მატერიალურად სუსტი ერების აღდგენისა და მათ მიერ ნაციონალური სახის შენარჩუნების საქმეში... მაგრამ გაბედულად უნდა ითქვას, რომ თუ ასოცდა ათი წლის წინად საქართველო რუსეთს არ შეფარებოდა, დღეს არც ქართველი ხალხის ორიენტაციაზე დაგვჭირდებოდა წერა, რადგანაც თვით ეს ხალხი აღგვილი იქნებოდა პირისაგან ქვეყნისა.

ძველი ბერძნების მითოლოგიის თქმით სუსტი ჰერაკლი ზევსმა გულში ჩაიკრა, შეისხეულა, შთაბერა ძლიერი სული და ჰერაკლიც საბერძნეთის უდიდესი გმირი გამოვიდა. საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულებაც ამას გვაგონებს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უსწორო ომებში ძალა მიხდილი და დასუსტებული ოდესღაც დიდი და ძლიერი საქართველო სისხლიდან იცლებოდა. ის ისპობოდა, ილუპებოდა აღურაცხელი მტრების მახვილით...

და აი ამ დროს მოდის რუსეთის ხალხი,—სულ ერთია,, ვისი ბრძანებით მოვიდა იგი: პავლესა თუ ალექსანდრე პირველის, სულ ერთია ვინ უძღოდა მას წინ: კნორინგი თუ თ-დი ციციშვილი. ბოლოს და ბოლოს მოვიდა რუსეთის ხალხი, ჯარისკაცის ფარაჯებში გადაცმული რუსი გლეხები,—რომელმაც, როგორც ზევსმა ჰერაკლი, შეისისხლხორცა განწირული ქართველი ხალხი, შთაბერა მას სასიცოცხლო სული, თვითონ გაუმკლავდა საქართველოს აღურაცხელ მტრებს და იხსნა მოსპობისაგან ეს განწირული ერი.

ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს რუსის ხალხი თვითონ ატარებდა თვითმპყრობელობის მძიმე უღელს, ისიც ვიცით, რომ რუსეთის ხალხმა ეს თვითმპყრობელობის უღელი ქართველ ხალხსაც გაუზიარა. მაგრამ სამართლიანობა გვაიძულებს ვთქვათ, რომ ეს უღელი იმ დროს, იმასთან შედარებით, რასაც ქართველი ხალხი განიცდიდა, უდიდესი ბედნიერება იყო ამ ხალხისათვის.

ვინც ეს არ იცის, ვინც ამ სიტყვებს გადაჭარბებულათ ჩაგვითვლის, მან არ იცის თუ რას წარმოადგენდენ საქართველოს სახელმწიფოები უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში. მან არ იცის თუ რა მდგომარეობაში იყო ქართველი ხალხი არა თუ წარსულ საუკუნოებში, თვით მე-XIX საუკუნის დასაწყისშიაც.

ამ დროს გლეხი ყანაში ვერ გამოსულიყო სამუშაოდ ლეკებისა და სხვა მთიელთა თავდასხმის შიშით. გლეხები მუშაობდენ ან მიმოდიოდენ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად რამდენიმე ათეული კაცი ერთად და ისიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ თავი დაეცვათ იმ ყაჩაღთა ბრბოებისაგან, რომლებიც უშიშრად დათარეშობდნენ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. სპარსეთისა და ოსმალეთის აგენტების მიერ გამუსულმანებული და გაბრიყვებული ლეკები შეუბრალებლად არბევდენ სოფლებს, იკლებდნენ პატარა ქალაქებს, იტაცებდენ ხალხის სარჩო-საბადებელს, ტყვეთ მიჰყავდათ ქვეყნის მარჩენალი მუშა... ხალხს არც ღამე ჰქონდა მოსვენება და ძილის უფლება. ის იარაღით ხელში იდგა სოფლის სადარაჯოზე და, შეამჩნევდა თუ არა მტრის მოახლოებას, ასტეხდა ბუკის ცემას, ეკლესიების ზარების რეკვას, ატყობინებდა მეზობელ სოფლებს მტრების მოახლოებას კოშკებზე დანთებული ცეცხლის საშუალებით... თვით შეძლებული თავადები თავისი ცოლ-შვილითა და მსახურებით მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე ჩაკეტილი იყვნენ ქვის მაგარ კოშკებში, მაგრამ იქაც არ იყვენ დაზღვეული ვერაგი მტერის მახვილისაგან...

თვით საქართველოს გული თბილისიც ვერ იყო უზრუნველყოფილი. ლეკების ბრბოები ხშირად ესხმოდენ თავს მის განაპირა ადგილებს. ხშირათ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ლეკების ბრბოები თავს დასხმოდენ ჩუღურეთსა და ნავთლუღს და სრულიად დაუსჯელად დაბრუნებულიყვენ უკან ტყვეებითა და ნადავლით დატვირთულები.

ასეთ პირობებში იყო საქართველო მე-XIX საუკუნის დასაწყისში, ასეთი საქართველო დაუხვდა თ-დ ციციშვილს, რომელიც 1803 წელს იქნა დანიშნული საქართველოს მთავარმართებლად. თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა თვით ერეკლეს მეფობის მიწურულში, ამას ჩვენ ცხადათ ვხედავთ სხვათა შორის „იესე იესეშვილის თავგადასავლიდან“, რომელიც პატივცემულმა სარგის კაკაბაძემ გამოსცა თხუთმეტიოდე წლის წინად. იესე იესეშვილი, ეს პირადი მდივანი ერთ დროს ლეგენდარული გმირი მეფე ირაკლისა, რომელიც შიშის ზარსა სცემდა ირანს და რომელსაც რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე ფრიდრიხ დიდზე მაღლა აყენებდა, მადლობას სწირავს ღმერთს, რომ მეფე ირაკლი და მისი ამალა თბილიდან გორში მშვიდობით ჩასულა და ლეკებს ტყვეთ არ წაუყვანიათ.

ახალციხე, რომელიც დღეს თავისუფალი საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენს, ძველად, საქართველოს რუსეთთან დაკავშირებამდე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, წარმოადგენდა ბაზარს, სადაც ათასობით იყიდებოდენ ტყვეთ ჩავარდნილი ქართველი ქალები და ვაჟები...

აი ის პირობები, რომლებმაც აიძულეს საქართველო ერთხელ და სამუდამოთ გადაეწყვიტა ორიენტაციის საკითხი. მეფე ირაკლიმ ჩინებულად იცოდა, რომ თვითმპყრობელი რუსეთი არ გაამართლებდა თავის დაპირებას, რომ ის ქართლსა და კახეთს რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიათ გადააქცევდა. მაგრამ ირაკლიმ იცოდა, რომ ძლიერი რუსეთი იხსნიდა ქვეყანას ფიზიკურად განადგურებისაგან, მოუპოებდა მას მყუდრო ცხოვრებას...

თვითმპყრობელმა რუსეთმა სრულიად გაამართლა მცხოვანი ირაკლის ასეთი იმედები: მან წაართვა საქართველოს ის სუვერენული უფლებები, რომელიც მას ფაქტიურათ დიდი ხნით ადრე ჰქონდა წართმეული. მაგრამ, სამა-

გიეროთ, მან მართლაც იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკურად მოსპობისაგან და მიანიჭა მას მყუდრო ცხოვრება.

რა დაკარგა ქართველმა ხალხმა რუსეთთან შეერთებით?

გვაზავები გვიპასუხებენ:—თავისუფლება, დამოუკიდებულობა.—მაგრამ რატომ ივიწყებენ ეს ჯენტლემენები, რომ რუსეთის შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე მოსტაცა მტერმა საქართველოს ერთიცა და მეორეც და მაგიერად მონობის უღელი დაადგა მას. აი ეს უღელი დაჰკარგა საქართველომ რუსეთის შემოსვლის დღიდან და არა დამოუკიდებლობა, არა თავისუფლება, რომელიც არა თუ ქართველ ხალხს, თვით მის მეფეებსაც არ მოეპოებოდათ.

ისტორიის განმავლობაში ათასობით და ათი ათასობით შემოსულა საქართველოში სხვადასხვა ერები. მაგრამ ყველა ესენი მოდიოდნენ ჩვენთან ცეცხლითა და მახვილით. ყველა ესენი მიწასთან ასწორებდნენ ჩვენს ქვეყანას შეუბრალებლად ჟლეტდენ ქართველ ხალხს. თვით „ერთმორწმუნე“ ბიზანტიისთვის საქართველო ბოლოს და ბოლოს მხოლოდ დამსჯელი რაზმების სათარეშო იყო და მეტი არაფერი.

მხოლოდ ერთად-ერთი ერი შემოვიდა საქართველოში არა როგორც მისი მოსისხლე მტერი, არამედ როგორც მისი დამცველი და მოსარჩლე. ეს ერთად-ერთი ერი რუსეთის ხალხი იყო. ეს იყო ის ჯარისკაცების რუხ ფარაჯებში გადაცმული რუსის ხალხი, გლეხები, რომლებიც ათასობით და ათი ათასობით დაიღუპენ საქართველოს მთებსა და ბარში ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მოსისხლე მტრებთან ბრძოლაში. ჩვენ ერთ წუთსაც არ გვავიწყდება, რომ ამ ხალხს ამოძრავებდა, მას მოერეკებოდა თვითმპყრობელი რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების სურვილი, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ რუსეთის თვითმპყრობელობას მიზნათ ჰქონდა საქართველო ხელში ჩაეგდო და მით გზა გაეკაფა სპარსეთისა და შემდეგ ინდოეთისაკენ. ეს ჩვენ ვიცით. მაგრამ თვით რუსის ხალხს, რუსის გლეხებს არ შეიძლება ჰქონოდა ასეთი მიზანი და კიდეც რომ ჰქონოდა, იმ დროს ეს ჩვენთვის სულერთი იყო. იმ დროს ჩვენ მხოლოდ იმაში ვიყავით დაინტერესებული, რომ ამ ახალ ძალას ჩვენი დამღუპველი მოსისხლე მტრები დაეთრგუნა, რომ ჩვენთვის მას ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებია, რომ მყუდრო ცხოვრება დაემყარებია. ჩვენ იმ დროს მეტი მიზანი არ შეიძლება გვქონოდა. და ეს მიზანი რუსეთის ხალხმა ჩინებულად შეგვისრულა.

საქართველოს „განმანთავისუფლებლები“ გვაზავას პირით ქვეყანას აცნობენ: „ფრანგები და ქართველები ერთმანეთს გაეცნენ ბრძოლის ველზე. ეს იყო ჯვაროსნობის ომების ხანაშიო“. ასეთი ზღაპრებით სურთ დაამტკიცონ, რომ ქართველებსა და ფრანგებს დიდი ნათესავური კავშირი აქვთ და ისინი მომავალშიაც ერთად უნდა იყვნენო. ამას ბრძანებენ ეს ჯენტლემენები და იმას კი ივიწყებენ, რომ რუსეთის ხალხი არა თუ გაეცნო სადღაც ბრძოლის ველზე ქართველ ხალხს, მან თავისი საკუთარის სისხლის ფასით დაღუპვისაგან **იხსნა** ეს უკანასკნელი. „პრომეთე“-ს კალმოსნები იწუნებენ პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მანიფესტებს. ისინი არც ჩვენ მოგვწონს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის იმპერატორების სისხლი კი არ დაღვრილა ჩვენი ხალხის დასახსნელად, აქ რუსის მშრომელი ხალხის სისხლი დაიღვარა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის თვითმპყრობელობამ ქართველ ხალხს დამონება დაუპირა, რომ თვითმპყრობელობის აგენტები მთელი საუკუნის განმავლობაში ჭედდენ ხალხისთვის მონობის უღელს. მაგრამ ისეთივე უღელი ედგა კისერზე თვით რუსეთის ხალხს.

როცა რუსეთსა და საქართველოს შორის კავშირზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სულაც არა გვაქვს სახეში დასახელებული მანიფესტები. ჩვენთვის ამ შემთხვევაში სულ სხვა მომენტია საყურადღებო. იცით როდის დაიწერა რუსეთისა და საქართველოს შემაერთებელი აქტი? იცით სად დაიწერა, ვინ დასწერა და რით დასწერა იგი? ეს აქტი დაიწერა აქ, საქართველოში. ის დასწერეს საქართველოსა და რუსეთის გლეხობამ. დაწერეს თავისი საკუთარი სისხლით ბრძოლის ველზე...

ეს იყო 1803 წლის, 9 მარტს, როცა 1600 რუსის ჯარისკაცმა 5.000 ქიზიყელ გლეხებთან ერთად საუკუნოთ დაამარცხეს ოსმალეთის სულთანისა და სპარსეთის შაჰის აგენტების მიერ გაბრიყვებული ლეკები, რომლებიც როგორც დავინახეთ, მთელი ორი საუკუნე არბევდენ და აწიოკებდენ საქართველოს. ეს იყო 1804 წლის 2—3 იანვარს, როცა იმავე რუსეთისა და ქართველების შეერთებულმა ძალებმა დასცეს განჯის ციხე-სიმაგრე, რაც მთელი საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა სპარსეთის ბაზას, საიდანაც თავს ესხმოდენ და არბევდენ ქართველ ხალხს.

იქნება ვინმემ გვიბრძანოს: აქ რუსის ხალხი რა შუაშა იყო? აქ ჯარისკაცები უბრალო ტიკინები იყვნენ თ-დ ციციშვილისა და სხვა გენერლების ხელშიო. ეს შეცდომაა. რუსის ჯარისკაცებს ჩინებულად ჰქონდა შეგნებული, რომ ისინი თავის სისხლის ფასით იცავდენ თავის მოძმე ქართველ ხალხს. ეს მათ საქმით დაამტკიცეს, როცა ამ გადამწყვეტი გამარჯვებების შემდეგ თავისი საკუთარი სურვილით, საკუთარი ინიციატივით, სრულიად უშუალოდ და წაუქეზებლად, გადაწყვიტეს ქართველი ხალხის განთავისუფლების დღე რაიმე საუკუნო ძეგლით აღენიშნათ. მათ მალე მიეცათ ამის შესაძლებლობაც. ამ ომებში გამარჯვებისათვის იმპერატორმა ალექსანდრემ თითო ჯარისკაცს თითო მანეთი „უბოძა“. რუსის ჯარისკაცებმა ეს ფული აიღეს და უკლებლივ მოახმარეს ისეთი ძეგლის აგების საქმეს, რომელიც ქართველ ხალხს მოაგონებდა მისი განთავისუფლების მიზნით მისი მოძმე რუსის გლეხების მიერ დაღვრილ სისხლს...

მათ ამ ფულით ააშენეს სიონის ტაძრის სამრეკლო.

და როცა სიონის ტაძრის ახლო გავლა გვიხდება, ჩვენში სასოების გრძნობას იწვევს არა საეკლესიო ხუროთმოძღვრების საკვირველება ტაძარი, არამედ ის უშნო და ულაზათო თეთრი სამრეკლო, რომელიც მის წინ აყუდულა თავისი პრეტენციოზული თეთრი სვეტებით.

მასში ჩვენ გვიტაცებს არა ხუროთმოძღვრება, არამედ ის მაღალი გრძნობა, რომლითაც ხელმძღვანელობდენ ნიკოლოზის ჯარისკაცები, ბატონ-ყმობის ხუნდებში გამომწყვდეული რუსის გლეხები, როცა ისინი თავისი სისხლით მონაგარი ფულითა და თავისი დაკორძებული ხელებით აშენებდენ ამ ქართველ ხალხთან სისხლით კავშირის საუკუნო მოსაგონარ ძეგლს.

ქართველი ხალხის მეგობრების ევროპაში მაძებარნო, ქუდი მოიხადეთ ამ შესანიშნავი ძეგლის წინაშე!

**ყარიბი**

# პოლიტიკის გარეშე მდგომი პოლიტიკა

„სოციალისტურ იდეოლოგიის მატარებელ მუშებმა და გლეხებმა მათი იდეიურ ხელმძღვანელ ინტელიგენტურ ძალების დახმარებით დაამხო ყოფილ რუსეთის იმპერიაში ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყობილება და იქ შექმნა ისტორიაში უმაგალითო საბჭოთა ხელისუფლება“-ო სწერს **ამხ. დ. თოფურიძე (იხ. „ახალი გზა“ № 3).**

ამხ. თოფურიძე გამოკვეთილად გამოსთქვამს იმ ინტელიგენტების თვალსაზრისს, რომელთაც ისტორიულ წარსულში მრავალი ძაფები აკავშირებდა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხკაცობის რევოლიუციონურ მოძრაობასთან. ეს თვალსაზრისი კი ხაზგასმა არის საზოგადოთ იმ ცნობილ ფაქტისათვის,რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილი

მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ ბრძოლას უკავშირებდა თავის საზოგადოებრივ ბედს.

თავის ისტორიულ გამართლებას ეს თვალსაზრისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იპოვის, თუ წარსულ რევოლიუციონურ ბრძოლებში მუშების და გლეხების გვერდით მდგომი ინტელიგენტები ბოლომდის გაყვებიან მუშათა და გლეხთა იმ რევოლიუციონურ ბრძოლას, რომელმაც შექმნა „ისტორიაში უმაგალითო საბჭოთა ხელისუფლება“. ამ თვალსაზრისმა ნაწილობრივი გამართლება ჰპოვა საქართველოს სინამდვილეში იმდენად, რამდენად თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობაზე, ე. ი. თანამედროვე პოლიტიკას ძველი რევოლიუციონურ ინტელიგენციის ერთი ნაწილი მაინც შერჩა. თუ ის მთლიანად არ გამართლდა იმიტომ, რომ კიდევ საკმაო ნაწილი ამ ინტელიგენციისა პოლიტიკის გარეშე აყენებს თავს და მით ორგანიულ კავშირს სწყვეტს იმ მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობასთან, რომლის იდეიურ ხელმძღვანელობას ის ჩემულობდა ახლო ისტორიულ წარსულში და სწორედ ეს წარმოადგენს ამ ინტელიგენტურ ძალების ტრაღედიას.

„ახალი გზის“ ერთ-ერთ ნომერში ჩვენ გაკვრით შევეხეთ პოლიტიკის გარეშე მდგომ პირთა საკითხს და აღვნიშნავდით, რომ **პოლიტიკის გარეშე, თავის დაყენება თავისებური პოლიტიკა არის.**

საკითხის ამრიგად დაყენებამ ერთნაირი გულისწყრომაც გამოიწვია ამ სტრიქონების დამწერის მიმართ. ზოგიერთმა კი კითხვის ამგვარ დაყენებაში თავისებური „პროვოკაცია“ დაინახა. ის წრე, რომელიც ამ ჟურნალს ხელმძღვანელობს, პოლიტიკურად იმდენად საკმაოდ პასუხისმგებელი ხალხი არის, რომ მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავდებთ ბრალს რაიმე პოლიტიკურად არასაკადრის რეციდივის გამოწვევაში. ჩვენ აღვნიშნავდით საზოგადოებრივ მნიშვნელობის ფაქტს და ერთნაირად ვაფასებდით მას. ამჟამად კი ერთხელ კიდევ საჭიროთ მიგვაჩნია ამ საკითხს მოუბრუნდეთ.

ვინც კარგად იცნობს საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობას, მისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ამ მოძრაობაში საკმაო თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის მშრომელ ინტელიგენციას. რომ თავი დავანებოთ სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს და მივხედოთ ქართული მენშევიზმის ისტორიულ წარსულს, დავინახავთ, რომ აქ საკმაოდ ძლიერი ინტელიგენტური ძალები იყრიდა თავს. ეს ინტელიგენტური ძალები თავის თავს არა თუ ანცალკევებდა საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობიდან, არამედ იდეიურად ხელმძღვანელობდა მას. ამ ხელმძღვანელობას ის ეწეოდა 1917 წლის რევოლიუციიდან, ვიდრე 1921 წლამდე. საქართველოს გასაბჭოებამ არსებითად შესცვალა მდგომარეობა და ეს ინტელიგენტური ძალები ორ ჯგუფად დაყო. ერთის მხრით დაირაზმენ ისინი, რომელნიც საბჭოთა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში აქტიური ჩაბმით, რეალურად დაუკავშირდენ განვითარების სრულიად ახალ გზაზედ შემდგარ მშრომელ საქართველოს, მხოლოდ მეორეს მხრით დაირაზმენ ისინი, რომელნიც წინააღუდგენ განვითარების ამ ისტორიაში არნახულ გზას და ამზადეს 1924 წლის აგვისტო. მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობიდან ინტელიგენციის ამ ნაწილის ჩამოშორება 1921 წლიდან დაიწყო, მაგრამ არა პოლიტიკის გარეშე დგომის, არამედ ამ მოძრაობის მიმართ მტრულად დარაზმვის გზით.

ყველამ ვიცით, თუ რით დამთავრდა 1924 წლის აგვისტო. ყველამ კარგად ვიცით, რომ შექმნილ ტრაღი-კატასტროფიულ მდგომარეობაში მუშები საკუთარ ძალების ამარა დარჩენ. აგვისტოს მოჰყვა „მუშათა კომისიის“ შექმნა და ჩვენ გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში ამ კომისიის შექმნა პირველი მაგალითი იყო, როდესაც მუშებმა ინტელიგენტური ძალების იდეიურ ხელმძღვანელობის გარეშე თავიანთ პროლეტარულ-რევოლიუციონური ალღოთი შეუდგნენ თავიანთ რევოლიუციონურ მისიის შესრულებას და მით აგვისტოს ავანტიურის შედეგების ლიკვიდაციას. მასების სულისკვეთებამ და ორგანიზაციულმა დარაზმულობამ წინ წაუსწრო ინტელიგენციის მხრით ერთნაირ ოპეკუნობას და ახალ გზაზედ შემდგარმა თბილისის ყოფ. მენშევიკ მუშათა მასებმა შექმნეს მძლავრი პოლიტიკური მოძრაობა ძველი მენშევიკური დამღუპველი გზის წინააღმდეგ.

რას შვრებოდა ამ დროს ის ინტელიგენცია, რომელიც თავის მენშევიკური წარსულით ისტორიულად, რა თქმა უნდა, ობიექტიურად, პასუხისმგებელი იყო აგვისტოს ავანტიურისათვის? ამ ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა დაგმო ძველი პოლიტკა, მივიდა მუშათა კომისიასთან. დასდგა მისი იდეიური ხელმძღვანელობის ქვეშ და მასთან ერთად დაიწყო ახალი გზით ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან ჯერ ისტორიაში არ ნახულ სოციალისტურ საზოგადოებრიობის მშენებლობას. ამ ნაწილმა თავისი ბედი ისევ მშრომელთა რევოლიუციონურ მოძრაობას დაუკავშირა.

ინტელიგენციის მეორე ნაწილმა კი დაგმო ძველი პოლიტიკა, მაგრამ აქვე გაჩერდა და დადგა პოლიტიკის გარეშე. ის, მართალია, მონაწილეობს სამეურნეო მშენებლობაში, მაგრამ არ სურს იმ პასუხისმგებლობის გაზიარება, რომელიც ახალი გზით წარმოებულ რევოლიუციონურ ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

„მუშათა კომისიის“ მიერ აღიარებულ ახალი გზით სიარული ბევრ ვალდებულებას აკისრებდა იმათ, ვინც **ძველი გზის კურსით სიარულის დროს** იდეიურად ხელმძღვანელობდა იმ მასას, რომლისგანაც აგვისტოს შემდეგ „მუშათა კომისია“ გამოვიდა.

თუ ჩვენ მიერ ახალ გზათ აღიარებული კურსი არ ეწინააღმდეგება მშრომელ საქართველოს ინტერესებს, თუ ის შეთანხმებულია მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიულ ინტერესებთან, მაშინ რა აზრი უნდა ჰქონდეს ინტელიგენციის დასახელებული ნაწილის პოლიტიკის გარეშე დგომას? ამ პირობებში პოლიტიკის გარეშე დგომა ნიშნავს იმ ისტორიულ პასუხისმგებლობის გაზიარების უარისყოფას, რომელიც მუშათა და გლეხთა ამ რევოლიუციონურ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ ინტელიგენტურ ძალებს არ სურთ არა თუ ამ მოძრაობის იდეიური ხელმძღვანელობა, არამედ მათში მონაწილეობაც კი.

ჩვენ არავის არ შევებრძოლებით იმისათვის, თუ რატომ დააყენა თავისი თავი პოლიტიკის გარეშე. ეს თვითეული ასეთი პირის შინაგანი რწმენის და სინდისის საკითხია, მაგრამ როცა ეს ვითომდა „პოლიტიკის გარეშე მდგომნი“ თუმცა პასიურად, მაგრამ მაინც თავს ისხმიან იმ პირთ, რომელნიც სათანადო დასკვნებს აკეთებს. თანამედროვე პოლიტკურ მომენტში ჩვენ, მათი ასეთი ნაბიჯი არ შეიძლება პოლიტიკის გარეშე დგომით მივიღოთ... ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვქონდა, რომ **პოლიტიკის გარეშე დადგომა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით გამოწვეული ფაქტია, რომ ეს პოლიტიკაა.** რას იტყვის პოლიტიკის გარეშე მდგომი ყოფ. მენშევიკი იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ ახალ აგვისტოს ამზადებენ? შეუძლია მან ამ ფაქტის შეფასებიდან თავი შეიკავოს? თუ ის თავს შეიკავებს ამ ფაქტის შეფასებისაგან და სათანადო დასკვნების გამოტანისაგან, ის სრულიად შეგნებულად გამოდის რამიშვილიზმის პასიურ დამხმარეს როლში. თუ ის ამ ფაქტს სათანადოთ შეაფასებს და შესაფერის დასკვნებსაც გამოიტანს ის სრულიად შეგნებულად გამოდის რამიშვილიზმის წინააღმდეგ მებრძოლის როლში.

ან ერთი ან მეორე—მესამე გზა არ არსებობს. ორივე გზა კი პოლიტიკის გზა არის. აქ არ გამოდგება: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ“ და ამიტომ ყოველი პოლიტიკის გარეშე მდგომი უნებლიეთ ჩაბმული არის პოლიტიკაში. და აი ჩვენ გვსურს ვიცოდეთ ვინ არის ის, ვინც თავის ბედს უკავშირებს ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასების მიმდინარე რევოლიუციონურ ბრძოლას. პოლიტიკის გარეშე მდგომი პირები თვით ეწევიან ერთნაირ პროვოკაციას ჩვენს მიმართ. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს

მთელის ახალი ავანტიურის საშინელება, თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული გამაფრთხილებელი ზომები. ეს პირები კი პირად საუბარში გვიცხადებენ:

ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს პროვოკაცია არისო.

მერე ეს არის პოლიტიკის გარეშე დგომა? არა, ეს იგივე პოლიტიკაა, მხოლოდ, ნუ გამიჯავრდებით და ერთობ დუხჭირი პოლიტიკა კია. 1924 წლის აგვისტოს წინ არავის არ სჯეროდა ავანტიურის შესაძლებლობა. მასზე მხოლოდ ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ და ხმამაღლა კი არავინ არ ლაპარაკობდა. ავანტიურის შემდეგ კი ყველამ ნეკზე იკბინა: რატომ თავის დროზე ზომები არ მივიღეთ და ხალხს უბედურება თავიდან არ ავაცილეთო... დღეს 1924 წელზე მეტი საბუთი გვაქვს იმისა, რომ საზღვარგარეთ გახიზნულები ასეთსავე საფრთხეს უმზადებენ ქართველ ხალხს. და ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ჩვენი ვალი ხმა-მაღლა ვთქვათ იმაზე, ყველა გავაფრთხილოთ, ყველას მოვუწოდოთ მის წინააღმდეგ?

ჩვენ გამოვდივართ იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის საქართველოს მშრომელი მასების რევოლიუციონურ მუშაობას, ვინც მათ ახალ აგვისტოს უმზადებს.

ამ საქმეში პოლიტიკის გარეშე დგომა უდიდესი პოლიტიკური აქტია, მხოლოდ პოლიტიკა გაძრო-გამოძრომისა და ორი კერპის სამსახურის სურვილისა. ამ შემთხვევაში ორი გზა არ არსებობს. ან დაგმობა, ან მოწონება.

ან აქ, ან იქ!

**ზ. ჩახვაძე.**

# მთავარ სახელოსნოების წარმოებისა და კავშირის წინსვლა

მთავარ სახელოსნოების წარმოების და მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული წინათ, და დღესაც მას განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს.

რკინის გზა იყო და არის უმთავრესი ნერვი სახელმწიფოსი, რკინის გზის ტრანსპორტის შეფერხება, იწვევს მთელი სახელმწიფოს აპარატის შეჩერებას. ამიტომაც მას, როგორც ყოველთვის, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მთავარი სახელოსნო იყო მუდამ ტონის მიმცემი დანარჩენ დარგებზე და არის დღესაც.

მთავარი სახელოსნო იყო მუდამ რევოლიუციის საყვირი და მას ბანს აძლევდა ქალაქი და სოფელი. სახელოსნოების მუშაობის შეწყვეტა იწვევდა მთელი ქალაქის მაჯისცემის შეჩერებას. ყველასი ყურადღება აქეთკენ იყო მიპყრობილი. ერთი საყვირის მიცემა და ყველაფერი შეჩერებული იყო, მსხვილი წარმოებიდან დაწყებული გათავებული წვრილ ხელოსნამდე. (მოიგონეთ 1905-1908 წ.).

მთავარ სახელოსნომ მოგვცა მთელი რიგი გამოჩენილი რევოლიუციონური მუშებისა. მას მუდამ პირველი ადგილი ეჭირა რევოლიუციონურ და პროფესიონალურ მოძრაობაში და უჭირავს დღესაც...

მართალია მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა ჩვენი ტრანსპორტი სრულიად გაანადგურა: მოიშალა რკინის გზა, დაიმტვრა ორთქლმავლები, რონოდები და სხვა, მაგრამ მუშათა კლასმა თავისი დაუღალავი შრომით დანგრეულ-დაშლილი ტრანსპორტი ომის წინა დროის სიმაღლემდე აიყვანა და ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც გადააჭარბა. მართალია ჩვენი მიზანი სრულებით არ არის, რომ ომამდე არსებულ დონეზე გავჩერდეთ. მაგრამ მე ამითის მინდა ვსთქვა, რომ სრულიად განადგურებული ტრანსპორტი უკვე ჩადგა ომამდე არსებულ პირობებში. ამის შემდეგ კი სრული იმედი გვაქვს უფრო სწრაფად წავალთ წინ, როგორც წარმოების აწევით, ისე მუშა-მოსამსახურეების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით. რომ ეს მოლოდინი გადამეტებული არ არის ამას ცხადყოფს შემდეგი სტატისტიკური ცნობები:

როგორი წარმოება იყო წინათ და როგორია დღეს? რამდენი ორთქლმავალი გამოდიოდა წინათ და რამდენი გამოდის დღეს? რას იღებს საშუალო ხელფასს კვალიფიკაციური ხელოსნები და შავი მუშები? რა უფლებები აქვს პროფკავშირს და როგორ იცავს მუშათა ინტერესებს? მთავარ სახელოსნოში რამდენია მკვიდრი მცხოვრებლები ქართველები და უცხო-მოსული? არის თუ არა სავალდებულო ქართული ენა და შემოღებულია თუ არა ქართულ ენაზე წარმოება კანცელარიებში და როგორ პირობებშია შეგირდები, ქალები და სხვა.?

აი კითხვები, რომელზედაც მინდა უტყუარი ცნობები მივაწოდო „ახალი გზის მკითხველებს.

პროფესიონალური კავშირები დღევანდელ პირობებში ბატონ-პატრონია ყოველგვარ წარმოებისა. ის დაინტერესებულია წარმოების აწევით იმდენათ, რამდენათაც მან იცის, რომ წარმოების აწევა გამოიწვევს მისი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას, და მეორე მან იცის, რომ წარმოების ბატონ-პატრონია და მისი შექმნილი სიმდიდრით გაძლიერდება და განმტკიცდება მუშური სოციალისტური სახელმწიფო.

ამისათვის, თუ წინათ ის ალმაცერათ უყურებდა წარმოების აწევას, დღეს მთელი მისი ენერგია იქითკენ არის მიმართული, რაც შეიძლება მეტათ აიწიოს წარმოება, მეტი გაუმჯობესება შეიტანოს ტეხნიკურ საქმეებში და მეტი სიმდიდრე შექმნას სოციალისტურ სახელმწიფოს საკეთილდღეოთ.

მოვიყვანოთ ციფრები:

1913 წელს, როდესაც მასალა აუარებელი იყო, მუშაობა 9 საათს წარმოებდა. ზედმეტი სამუშაო, როგორც სალამოობით, ისე კვირა-უქმე დღე თითქმის მუდამ მიმდინარეობდა. ამ დროს მთავარ სახელოსნომ გამოუშვა 70 ორთქლმავალი.

ერთ ორთქლმავალზე მუშების ხელფასისთვის იხარჯებოდა 8.003 მანეთი.

სამგზავრო რონოდები გამოვიდა 70 ცალი. აქ შედის, როგორც პირველი, მეორე, მესამე კლასის რონოდები, აგრეთვე საფოსტო-საბარგო რონოდაც.

საშუალო ხელფასი 1913 წელს მუშებისა იყო 55 მანეთი.

რაც შეეხება 1921-22 წლის დასაწყისს, ყველგან ვიცით, თუ როგორი მდგომარეობა იყო ჩვენში.

საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ მაშინ იდგამდა ფეხს, ის შეუდგა როგორც კერძოთ ტრანსპორტის, ისე საერთოთ ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას.

1925—26 წელს მთავარ სახელოსნომ გამოუშვა 53 ორთქლმავალი კაპიტალური რემონტიდან. ერთ ორთქლმავალზე მუშების ხელფასი უდრის 10.609 მ. და 57 კაპ. 19.098 საათის დახარჯვით. სამგზავრო რონოდები გამოვიდა 68. საბარგო 448. შეკეთდა 818 რონოდა და სხვა.

ზემოთ ნაჩვენები ციფრები ადასტურებენ თუ რამდენად წინ მიდის წარმოება 1913 წელთან შედარებით და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ასეთი ტემპით წავიდა მუშაობა 1913 წელს 50 პროც. გაასწრობს 27 წელი, მით უმეტეს 27 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია ამწყობთა საქვაბო საამქროს გადიდება, რაც უფრო ხელს შეუწყობს წარმოების აწევას.

ყველა ზემოთ თქმული ადსტურებს, თუ რამდენათ აქვთ მუშა-მოსამსახურეებს თავიანთი მოვალეობა შეგნებული და რამდენათ ხელს უწყობენ წარმოების აწევას.

მთავარ სახელოსნოებში ამჟამათ მუშაობს 2877 კაცი და ქალი. ამათში ქართველებია 1608, ანუ 72 პროც. მეტი. დანარჩენი 1.269 სული ეროვნების მიხედვით დანა-

წილებულია ასე: რუსები 705; სომხები—287; სხვადასხვა ეროვნება—277; კავშირის წევრობა ნებაყოფლობითია, წევრათ ითვლება 2.807 კაცი, მხოლოდ 70 კაცი არ არის კავშირის წევრათ.

პროფესიონალურ მუშაობაში არის ჩაბმული 250 კაცამდე აქტივისტები. ადგილკომის ხელმძღვანელობით არსებობს: საწარმოო, შრომის დაცვის, კულტურ.-განმანათლებელი კომისიები. არჩეული პირები ყველა კომისიებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. არსებობს ცეხ-ბიუროები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ადგილკომს და მეორს მხრით მჭიდრო კავშირი აქვთ საამქროების მასებთან. ყოველდღიური საკითხები სწრაფათ იჭრება და იმ ბიუროკრატიზმს, რომელზედაც ხშირად ლაპარაკობენ, აქ ადგილი არ აქვს.

ქალთა საკითხი, როგორც უფლებრივი, ისე შეღავათი მშობიარობის დროს, შეგირდების ხელობის შესწავლა და სხვა, არც ერთ სახელმწიფოში არ არის ისე კარგათ დაყენებული, როგორც ეს საბჭოთა რესპუბლიკაში. შეგირდი დღეში 4 საათს მუშაობს პრაქტიკაზე, 4 საათი კი წერა-კითხვისა და თეორიულ მუშაობას ანდომებს. ჯამაგირს ღებულობს მეორედან მეთხე თანრიგამდე. დასრულების შემდეგ, თუ ის ჩააბარებს შესაფერისი სინჯს, ხელოსნათ ითვლება. რაც შეეხება მუშა-მოსამსახურეების ხელფასს. შემდეგია:

1925—26 წლებში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამწყ. | საამქ. | მინიმ. | 80—95, | მაქს. | 178, | საშვალო | 85—92 |
| საქვაბო | „ | „ | 79—27 | „ | 238,02, | „ | 107 59 |
| საჰჭედ. | „ | „ | 81—87 | „ | 235—36 | „ | 117—72 |
| სარონოდ. | „ | „ | 70—42 | „ | 197,00 | „ | 82—61 |
| სადურგ. | „ | „ | 71—47 | „ | 172—99 | „ | 76—62 |
| სალით. | „ | „ | 61—32 | „ | 165—39 | „ | 81—82 |
| სამღებრ. | „ | „ | 67—38 | „ | 179—87 | „ | 76—93 |

აღნიშნული ციფრები ადასტურებენ თუ როგორ აიწია ხელფასი წარმოებასთან ერთად.

მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს და სრულიად უზრუნველყოფილი ვცხოვრობთ, ჯერ კიდევ ჩვენ ძლიერ ბევრი ნაკლი გვაქვს, ბევრი რამ გვაკლია. მუშა-მოსამსახურეები არ არიან ეკონომიურათ საკმაოთ დაკმაყოფილებული. ჩვენს სახელოსნოები ჯერ კიდევ მოუმზადებელია, სანიტარული მდგომარეობის, შრომის დაცვის, ბინების მხრით და სხვა. ეს ასეა, მაგრამ ყველა ესენი დროებითია, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ნაკლი ახლო მომავალში გამოსწორდება.

კ. მაჭარაძე.

# ჩვენი კულტურის მამოძრავებელი სიმაღლეები

## I.

## ჩვენი უნივერსიტეტი

მალე შესრულდება **ათი წელიწადი, რაც ჩვენში უნივერსიტეტი დაარსდა.** საჭირო გახდა უსაშინელესი მსოფლიო ომი გაგვევლო და სამი რევოლიუცია მომხდარიყო, რომ ჩვენი ქვეყანა უმაღლეს სასწავლებელს ღირსებოდა. თვითმპყრობელობამ ჩვენთვის ის ვერ გაიმეტა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ საქართველოში უნივერსიტეტი იქნებოდა ეროვნული კულტურის უდიდესი ციხე-სიმაგრე და რევოლიუციის ერთ-ერთი დასაყრდნობი.

ჩვენი ახალგაზრდობა იძულებული იყო სწავლის დასამთავრებლად რუსეთისთვის მიეშურებია. ამით თვითმპყრობელობა ორ მიზანს აღწევდა: ის უძნელებდა ახალგაზრდობას უმაღლესი სწავლა მიეღო და მეორეც—ამ გზით რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება მისთვის უფრო ადვილი ხდებოდა.

როცა ახალგაზრდა ქართველი რუსეთში სწავლა დამთავრებული შინ ბრუნდებოდა, მას ხშირად თან მოქონდა ორი დიპლომი: ერთი იმის შესახებ, რომ მან მეცნიერება გაიარა და სწავლა დაამთავრა, ხოლო მეორე იმის შესახებ, რომ ის მალე **სიცოცხლესაც დაამთავრებს**, ვინაიდან ის ნივთიერად მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, რუსეთის ჰავას ვერ იტანდა და შინ ჭლექით დაავადებული ბრუნდებოდა.

აქედან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ ახალგაზრდობისათვის მის სამშობლოში, საქართველოს დედა ქალაქში, უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. ის იყო ერთი უდიდესი ეროვნული და კულტურული საქმე, რომელიც ჩვენში რევოლიუციის შემდეგ გაკეთდა.

მეცნიერების ტაძარი ჩვენში მეტად მძიმე პირობებში შენდებოდა. არ იყო მეცნიერთა კადრი, და საჭირო ნივთიერი სალსარი, მიუხედავათ ამისა საქმის სიყვარულმა და თავდადებულმა მუშაობამ თავისი გაიტანა და მოკლე ხანში ჩვენმა უნივერსიტეტმა სხვა უნივერსიტეტებს შორის საპატიო ალაგი დაიჭირა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი უნივერსიტეტი ერთი საუკეთესო უნივერსიტეტთაგანია მთელს საბჭოთა კავშირში, უეჭველია მომავალში მისი მიღწევები უფრო დიდი იქნება.

რა არის დღეს მისთვის საჭირო?

**ორ მილიონ ერზე სამი მილიონი პოეტი—და ხუთი მილიონი პოლიტიკოსი,** რა თქმა უნდა, **ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება.**

ჩვენ ბევრი გვყავს ნიჭიერი ხალხი, მაგრამ ძლიერ ცოტაა იმათი რიცხვი, ვისაც შეუძლია დაუღალავი, სისტემატიური, დამჯდარი მუშაობა აწარმოოს. ჩვენ ეფექტის ხალი ვართ, ერთბაშად ავფეთქდებით და მყისვე ჩავქრებით, არ გვყოფნის ენერგია, ნებისყოფა, საჯდომი არ გვივარგა.

ამიტომ ერთგვარი გადახრა მეცნიერებისაკენ ჩვენთვის მეტად დროული და საჭიროა.

ჩვენს უნივერსიტეტში ხდება ჩვენი სამეცნიერო ძალების მობილიზაცია, მათი შერჩევა და მომზადება.

ჩვენს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ამ პროცესს ყოველ მხრით ხელი შეუწყოთ და ჩვენს მცირე რიცხოვან მეცნიერულ ძალებს თვალის ჩინივით მოვუაროთ.

ჭეშმარიტი მეცნიერი—ეს არის **ჭეშმარიტებაზე შეყვარებული ადამიანი**—სხვანაირად მე ვერ წარმომიდგენია ნამდვილი მეცნიერი.

ობიექტიურ კვლევა-ძიებაში ჩაფლული, ის უდიდესი მეგობარი და მოკავშირეა რევოლიუციისა და სოციალიზმის.

ცხადია, ასეთ მეცნიერთ არ უნდა მოუვიდეთ კოლიზია მშრომელ ხალხთან და მის რევოლიუციონურ იდეოლოგიასთან.

პირველი, რაც ჩვენს მეცნიერებას და მის ტაძარს ესაჭიროება, არის **ჯანსაღი მორალური ატმოსფერა**. ყოველი მეცნიერი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობს, თავის თავს უნდა გრძნობდეს, როგორც საყვარელ ოჯახში, სადაც სუფევს ურთიერთის პატივისცემისა და ნდობის მტკიცე ატმოსფერა. უამისოდ ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა შეუძლებელია.

ამ მხრით ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც ჩვენს მეცნიერებაზე, ისე განსაკუთრებით იმ ამხანაგებზე, რომლებმაც უკანაკნელ ხანებში იქ მუშაობა დაიწყეს და ხელმძღვანელ როლს თამაშობენ.

ძველად მეცნიერებშიც იყვნენ ახირებულნი, რომელთაც ახასიათებდა ბიუროკრატიული გადახრა და განდიდების მანია, მათ ხშირად ეჩოთირებოდათ „უხარისხო“ ხალხთან ნაცნობობა და მუშაობა, მაგრამ ეს იყო ძველად,

როცა სახელმწიფოც ბიუროკრატიული იყო და „ხარისხებს“ დიდი გასავალი ჰქონდა.

არა მგონია ჩვენს მეცნიერებაში ასეთი ხალხი იყოს, და თუ თითო ოროლა ასეთებიც იყვენ, შეუძლებელია ასეთები იყვნენ დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის შემდეგ.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, ძახილი „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ო არავის გამოადგება.

მეცნიერული მუშაობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს სწავლულ მუშაკთა ნივთიერი უზრუნველყოფა. წარსულთან შედარებით ამ მხრით დიდი ნაბიჯებია წინ გადადგმული. საჭიროა ზრუნვა ამ მიმართულებით არ შენელდეს.

საჭიროა სწავლულ მუშაკთა ზოგიერთ ჯგუფებს მიექცს მეტი ყურადღება, რადგანაც უნივერსიტეტის ლექტორი, რომელიც ღებულობს თვიურად 70—80 მანეთს (მგონი ასეთებიც არიან) ცხადია, ვერ შესძლებს აწარმოოს ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა.

ამასთან არის აგრეთვე დაკავშირებული შეთავსების საკითხიც. თუ მეცნიერი ნივთიერად შედარებით უზრუნველყოფილია, რა თქმა უნდა, შეთავსება არ არის სასურველი, ვინაიდან ის უეჭველად ხელს შეუშლის მეცნიერული მუშაობის გაღრმავებას.

არის მეორე შემთხვევა, როცა შეთავსება აუცილებელია: ჩვენში მეცნიერთა რიცხვი ძლიერ განსაზღვრულია. ამიტომ ერთ და იმავე სპეციალისტს ძალა-უნებურად უხდება მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებაში. ეს გარემოება უეჭველად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როცა შეთავსებაზეა ლაპარაკი.

უნივერსიტეტი ვერაფერს გააკეთებს, თუ მას შესაფერისი ცოცხალი მასალა არ ექნება. ეს მასალა არის ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ათასობით უნივერსიტეტს აწყდება.

სწავლა-განათლებისაკენ მისწრაფება ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, მუდამ დიდი იყო, დღესაც იგივე გრძელდება, მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით. ეს სასიქადულო მოვლენაა, საჭიროა მხოლოდ მისი უფრო რაციონალურ კალაპოტში ჩაყენება.

ბევრჯერ თქმულა და ეხლაც უნდა აღინიშნოთ, რომ ის ახალგაზრდობა, რომელიც დღეს უნივერსიტეტში შედის, სამწუხაროდ, ძლიერ სუსტად არის მომზადებული. არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს ათავებს და არ იცი, რომელ ენაზე ელაპარაკო, ვინაიდან მან ხეირიანად არც ქართული იცის და არც რუსული.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შედეგია უმთავრესად ობიექტიური პირობების, ისიც ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ასეთი მდგომარეობა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში არ არის, მაგრამ მაინც ფაქტი ფაქტად რჩება და მას დროზე ყურადღების მიქცევა უნდა.

აქედან ყველაზე რაციონალური გამოსავალი იქნება: და დაბალ და საშუალო სკოლაში ახალგაზრდობის უფრო საფუძვლიანი მომზადება, მიღებული პროგრამების მაგარი ხელით გატარება.

მისაღებია აგრეთვე წინადადება, რომ ამ საფეხურზე სწავლას უფრო პრაქტიკული გადახრა მიეცეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ახალგაზრდას არ უნდა ჰქონდეს გზა დახშული უმაღლესი სწავლა მიიღოს, თუ ამისათვის გამოიჩენს პროგრამით დაწესებულ ცოდნას.

უმაღლეს სკოლაში ჩვენი ახალგაზრდობის საფუძვლიან მომზადებას უეჭველია ხელს უშლის ის გარემოება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ნივთიერად არ არის უზრუნველყოფილი, რის გამოც ის იძულებულია საუკეთესო დრო სამსახურს მოანდომოს.

რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე დროს სწავლაც და სამსახურიც მეტად ძნელია, შესაძლოა ასეთმა ახალგაზრდამ ვერც სწავლაში გამოიჩინოს დიდი უნარი და ვერც სამსახურში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, აქ შეუთავსებლობის პრინციპის გატარება მაინც ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს და ჩვენს ახალგაზრდობას მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს.

ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ მეცნიერება ლაღიძის წყალი არ არის, რომ ის ადვილად გადავჰკრათ. აქ საჭიროა დიდი მუშაობა, ღრმა და საფუძვლიანი მომზადება.

ამიტომ ჩვენი კატეგორიული მოთხოვნილება უნდა იყოს, რომ **ახალგაზრდამ კარგად ისწავლოს**. თუ ის ამ პირობას შეასრულებს—სრული უფლება უნდა ჰქონდეს თუ გინდ ათ ადგილას იმსახუროს.

უმაღლესი ხარისხი ჩვენთვის არის **კარგი ადამიანი და კარგი მოქალაქე**. მას ვერ შეედრება ვერავითარი სხვა ხარისხი.

მაგრამ მეცნიერებაში ეს უდიდესი ხარისხი არ კმარა. შესაძლოა კარგი ადამიანი და კარგი მოქალაქე მეცნიერებაში სრულებით ვერ გამოდგეს. ისიც შესაძლოა, რომ კარგი მეცნიერი ფრიად უხეირო ადამიანი და უხეირო მოქალაქე იყოს.

ამიტომ ჩვენი სურვილია: **კარგი ადამიანი, კარგი მოქალაქე და კარგი მეცნიერი**. აქეთკენ მოვუწოდებთ ყველას, ვინ ჩვენში სამეცნიერო მუშაობას აწარმოებს, ან მას ხელმძღვანელობს.

**ლეო შენგელაია.**

# რა იყო და რა იქნება

დღეს საბჭოთა საქართველოში მიმდინარეობს საბჭოების არჩევნები. ეხლანდელი არჩევნები განსაკუთრებით მით არის საყურადღებო, რომ არჩევნებიდან გაცხრილულია დიდრონი ბობოლანი, სოფლის კულაკნი და მათთან ყველა ის ხალხი, ვინც ხელს უშლის საბჭოების წესიერ მსვლელობას.

დღეს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხი, თავის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით. სოფლად არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს უღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობა, რომლებიც უმრავლესობის სურვილების გამომხატველი არიან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისგან კულაკი და ღარიბი გლეხობა, რომელიც თავისი შრომით აშენებს და ამაგრებს ხანგრძლივი ბრძოლით მოპოებულ საბჭოთა წყობილებას.

ღარიბმა გლეხმა კარგად უნდა შეიგნოს ის უცილობელი და ჭეშმარიტება, რომ მისი ინტერესების დამცველი მხოლოდ მისივე. მსგავსი და მისი, საკუთარი თავია. თუ საბჭოებში არჩეული იქნებიან ისეთი დეპუტატები, რომელნიც ღარიბთა წრიდგან არიან გამოსული, მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ მრავალ გაუგებრობასა და გადახრებს, რომელსაც ადგილი ქონდა აქამდე.

ჩარჩები ცდილობენ, და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ საბჭოებში თავიანთი კაცები გაიყვანონ, მაგრამ ამაო და უნაყოფოა მათი ოინები. მრავალნაირია ის საშუალებანი, რომელთაც კულაკები მიმართავენ იმისთვის, რომ საბჭოებში ისეთი ხალხი გაიყვანონ, რომლებიც შეასუსტებენ და მოადუნებენ საბჭოების მუშაობას. თვით საარჩევნო უფლებას მოკლებული ჩარჩი ცდილობს შეაგონოს თავის ახლობელ გლეხს, რომ მან საბჭოში დაასახელოს ისეთი ვინმე, რომელიც არაფრად არ ვარგა და რომელიც მხოლოდ შეაფერხებს საბჭოების მუშაობას.

შემდეგ გამოვა დემაგოგიურად და დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ აი თქვენი საბჭო არაფერს აკეთებს, იმიტომ, რომ იქ არიან ისეთი ხალხი, რომელთაც არაფრის

გაკეთება არ შეუძლია. ჩვენ რომ ვყოფილიყავით ყველაფერს რიგზე გავაკეთებდითო.

გლეხობის ვალია, რომ ძალიან ფრთხილათ მოიქცეს დეპუტატების დასახელების დროს, კარგად გაუსინჯოს კბილი ყველა ამორჩეულს. წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, თუ ვის ინტერესებს დაიცავს ამორჩეული დეპუტატი მომავალ საბჭოში. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩარჩები ვერ ინელებენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების არსებობას. ამიტომაც ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ჩარჩები დემაგოგიით შორს ვერ წავლენ და ვერც მიზანს მიაღწევენ. არარაობათ ქცეულნი დღეს თუ ხვალ სავსებით უნდა გაქრენ ცხოვრების ზედაპირიდგან.

ყველა დეპუტატს, რომელიც არჩეული იქნება საბჭოში, კარგად უნდა ახსოვდეს ის, თუ ვინ აირჩია ის და რა დაავალა მას ამომრჩეველმა.

ჩარჩებსა და მათ მიმდევრებს ადგილი არ უნდა ექნეთ ახალ საბჭოებში. ღარიბმა ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ მას მარტოც შეუძლია თავის საქმის წარმართვა, რომ მას არ დასჭირდება ჩარჩების „დახმარება“.

თუ ყველა ეს პირობები დაცული იქნება და საბჭოებში ღირსი ხალხი გავლენ, მაშინ ადგილი აღარ ექნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უკანონო გაწერას, მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა, რომლებსაც აქამდე ხშირათ ქონდა ადგილი.

წარსულ საბჭოებში მრავალი ჩარჩები მოექცნენ, რომელთაც გადასახადის სიმძიე ღარიბ გლეხებზე გადაიტანეს და ამით ცდილობდნენ გლეხებში ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების შექმნას. რა თქმა უნდა, მთავრობამ ამის წინააღმდეგ დროზე მიიღო ზომები... მრავალი არის იმის მაგალითები, რომ შეძლებული ხალხი, რომლებსაც სოფელშიაც ბევრი აქვთ და მასთან სავაჭროებიც აქვთ, არავითარ გადასახადს არ იხდიდენ. ეს მით იყო გამოწვეული, რომ საბჭოებში გაძვრენ მათი ინტერესების დამცველები. ისინი შეეცადენ საბჭოებისათვის სახელი გაეტეხათ. ახლა კი დროა ამ ვაჟბატონებს აღარ მიეცეთ საშუალება საბჭოში გაძრომისა და ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდნენ, რომ ისინი სუსტნი არიან მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

**სან. გვიმრაძე.**

# გულწრფელი სიტყვა ზოგიერთ გულუბრყვილოებს

მოქალაქენო! დრო არის, რომ აწი მაინც ვისწავლოთ ჭკუა. ნუ წამოეგებით პროვოკაციის ანკესზე. დრო არის ერთხელ და სამუდამოთ დავგმოთ ის უაზრო მუშაობა, რომელსაც დღემდის კიდევ აგრძელებს ზოგიერთი ჯგუფები.

რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამ ბრძოლამ? ნუ თუ არ არის დრო, რომ გადავხედოთ ჩვენი წარსული ბრძოლის შედეგებს და შევეკითხოთ ჩვენ თავს: ღირს თუ არა კიდევ იმ მდგომარეობის გაგრძელება, რომელმაც შექმნა 24 წ. აგვისტოს დღეები? მეგონა, რომ აგვისტოს უბედურების შემდეგ მაინც შესწყდებოდა ეს უაზრო და მავნებელი მუშაობა, მაგრამ თურმე მოვსტყუვდით... თურმე დღესაც არიან ისეთი პირები, რომლებსაც წარსული გაკვეთილით ვერაფერი ვერ უსწავლია. ჩვენ უნდა უარვყოთ ეს გრძნობისა და გაჯავრების პოლიტიკა, რადგანაც ასეთი პოლიტიკა ღუპავს არა მარტო კერძო პირებს, ის დამღუპველია საქართველოს მშრომელი მასებისათვის.

ნუ თუ ვერ დარწმუნდით იმაში, რომ მენშევიკურ პარტიის ნაშხეფებს ვერც „დემოკრატიული“ საქართველოს აღდგენა შეუძლია, ვერც მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ნუ თუ აგვისტოს დღეებმა ვერ დაგარწმუნათ, რომ მისი მომწყობი და ხელმძღვანელი, არამც თუ ერის და სახელმწიფოს ხელმძღვანელად არ ვარგან, არამედ უბრალო ჯარისკაცობის გაწევაც არ შეუძლიათ.

მენშევიკური პარტია ორჯერ დამარცხდა უსასტიკესად გენერალურ ბრძოლაში. ერთხელ 1921 წ თებერვალ-მარტის თვეებში და მეორეჯერ 1924 წ. აგვისტოში. პოლიტიკურად მოაზროვნე ხალხი ასეთ ხელმძღვანელებს თუ პასუხისგებაში არ მისცემს, ხელმძღვანელობიდან მაინც გადააყენებს, თქვენ კი კიდევ ნდობას უცხადებთ და ხელმძღვანელობას ანდობთ. თქვენი ასეთ მოქმედების გამართლება შეუძლებელია. გეკითხებით: რა არის თქვენი ბრძოლის მიზანი, რისთვის მოუწოდებთ და რისთვის რაზმავთ თქვენ ხალხს? რა გინდათ მიიღოთ ამ ბრძოლიდან? ხან იძახით დემოკრატიზმზე, ხან საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ასეა ეს? არც ერთი და არც მეორე თქვენს გულს არ ეკარება. თქვენი უმთავრესი მიზანია მენშევიკურის რესტავრაცია, მენშევიკური მთავრობის დაბრუნება.

ჩვენ ვიცნობდით კარგად აგვისტოს უშუალო ხელმძღვანელებს. ჩვენ სასტიკი ბრძოლა გვქონდა მათთან აჯანყების საკითხის ნიადაგზე. ჩვენ საშუალება გვქონდა მათ ზრახვებს კარგად გავსცნობოდით. და შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ მათი უპირველესი ზრახვა იყო მენშევიკური მთავრობის აღდგენა. ესე იგი პირადი რესტავრაცია. უამისოთ მათ საქართველო და მისი დამოუკიდებლობა ვერ წარმოედგინათ. მათი ზრახვები შეიძლება ასე გამოვსთქვათ: თუ ჩვენ არ ვიქნებით, საქართველო მეწყერსაც წაუღიაო.

თუ კი ასე მსჯელობდენ აგვისტოს ხელმძღვანელნი, რომელნიც უფრო გამოცდილი და ცნობილი პირები იყვნენ, რასაკვირველია ამაზე შორს ვერც თქვენ მიდიხართ. ეს სჩანს მთელი თქვენი დღევანდელი მოქმედებიდან. საქართველოში მენშევიკური პარტიის აღდგენა შეუძლებელია. გავა კიდევ ერთი წელიწადი და საქართველოში ვერ მოსძებნით ვერც ერთ მშრომელს, რომელმაც ერთი წუთითაც იოცნებოს მენშევიკურ პარტიის აღდგენაზე. ჩვენ დავშორდით მენშევიკურ პარტიას ჯერ კიდევ აგვისტოს აჯანყებამდე. ამ ავანტიურამ ხომ სამუდამოთ გათხარა ჩვენს შორის ღრმა უფსკრული. კომუნისტური პარტიის და საბჭოთა კავშირის მთავრობის საქმიანობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საქართველო საბჭოთა კავშირში შესძლებს თავის ეკონომიურ აღორძინებას, რაც თავდებია მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. საბჭოთა კავშირში ყოფნა უზრუნველჰყოფს ჩვენს საგარეო მშვიდობიანობას, რაც თავმდებია შინაური აღორძინებისა და წინსვლისა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ რაც მეტი დრო გავა, რაც უფრო მეტად დამყარდება ჩვენში მშვიდობიანობა, ჩვენი ერი და მისი მშრომელი ნაწილი უფრო და უფრო დარწმუნდებიან იმაში, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირში ყოფნა და მუშაობა ერთად-ერთი საწინდარია მისი ეროვნული აღორძინებისა. და ქართველი ერის ყველა შემადგენელი ნაწილები საუკეთესო დამცველები იქნება ამ კავშირისა. ჩვენ გულწრფელად მივმართავთ მენშევიკური პარტიის უკანასკნელი რიგების დაფანტულ წევრებს, გონს მოვიდნენ, გრძნობებს ნუ აჰყვებიან. გონების თვალით განიხილონ თანამედროვე პირობები, დააფასონ, რაც გააკეთა მენშევიკურმა პარტიამ ოცდა ერთი წლიდან დაწყებული დღემდე და შეადარონ მათი საქმიანობა იმას, რაც გააკეთა ეკონომიურ თუ სხვა დარგში დღევანდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ. ეს არის ჩემი მათდამი სათხოვნელი და გულწრფელი რჩევა. თუ ისინი ასე მოიქცევიან, დასკვნას თვითონ გააკეთებენ. მე მათ ვურჩევ, რომ სამუდამოთ აიღონ ხელი ჩვენში უკვე სამუდამოთ მკვდარ მენშევიზმზე. მის აღდგენაზე ზრუნვა უბრალო წყლის ნაყვაა.

**პეტრე ხურცილავა.**

# მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

ჯანმრთელობის დაცვის საქმე რომ ჩვენში ისეა მოწყობილი როგორც არასოდს. ეს ახლა ყველასათვის ცხადია. სამკურნალო დაწესებულებები, სამკურნალო პერსონალი, სასანიტარო ორგანიზაცია ისეთია, რომ 10—15 წლის წინეთ არც დაგვესიზმრებოდა.

ამ პატარა წერილში მე მინდა შევჩერდე სამკურნალო საქმის ერთ მხარეზე, რომელსაც სათანადო, ჯეროვანი ყურადღება მხოლოდ საბჭოთა მედიცინამ მიაქცია. ეს გახლავთ პროფილაქტიური, (გამაფრთხილებელი, სოციალ-ვითარების შესწავლა დაავადების დროს) გეზის გამეფება მედიცინის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

პროფილაქტიურ მედიცინას თავისის საფუძველი აქვს უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ორივე ჰიგიენა, კათედრები ამას ემსახურებიან. თუ ზოგადი, ექსპერიმენტალი ჰიგიენის კათედრა დიდი ხანია არსებობს, სოციალი ჰიგიენის კათედრა მხოლოდ წელს დაარსდა ჩვენი უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან. ჯანსახკომის თაოსნობით და მისი მატერიალური დახმარებით მოეწყო ეს კათედრა. კათედრის მუშაობა ვერ იქნება ნაყოფიერი თუ ის თავის მუშაობაში არ დაუახლოვდა ცხოვრებას, მას არ ექნა დამხმარე სამეცნიერო პრაქტიკული დაწესებულება. ეს მით უფრო საჩქაროა, რომ სოციალ-დაავადებასთან ბრძოლა ჩვენში დღის წესრიგშია დასმული. შექმნილია მთელი ორგანიზაციათა რიგი, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა სოციალურ სენთან ბრძოლა. გვაკლია ისეთი სამეცნიერო პრაქტიკული დაწესებულება, სადაც დამუშავდება მეცნიერულად სოციალ-ჰიგიენის საკითხები.

მტკიცება ასეთ დაწესებულების შექმნის აუცილებლობის საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩვენში, როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებრივობას შეგნებული აქვს ასეთ დაწესებულების საჭიროება. უმთავრესად ამით ხელმძღვანელობთა ჯანსახკომი, რომელმაც თავის ბიუჯეტიდან გაიღო თანხა სოციალ-ჰიგიენის მუზეუმის დაარსება-მოწყობისათვის. ასეთი მუზეუმი ფრიად საჭირო დაწესებულებაა—სოციალ-სენების საკითხების შესწავლისათვის და მათ წინააღმდეგ მიზან-შეწონილ ბრძოლის წარმოებისათვის. ცხადია, რომ დიდი და მეცნიერულ მკვიდრ ნიადაგზე მდგარ მუზეუმის შექმნა ძნელი საქმეა. ყველაფრის მოწყობა ამთავით შეუძლებელია, საჭიროა დრო და რაც უმთავრესია ფული.

სოციალ-ჰიგიენის მუზეუმი აწარმოებს, როგორც სანიტარულ-განმანათლებელ მუშაობას და იხახავს სამეცნიერო-პრაქტიკულ ამოცანებს. ის აგროვებს, ინახავს, სისტემატიურად ამუშავებს და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მასალებს, რომელთაც აქვთ ისტორიული და სამეცნიერო პრაქტიკული მნიშვნელობა ჯანმრთელობის საქმეში. ამ ფართე ამოცანების განხორციელება ერთი ხელის მოქნევით არ შეიძლება,—მაგრამ უკვე მიღებული და დამტკიცებულია გეგმა როგორც მუზეუმის მოწყობის, ისე მისი მომავალი მუშაობის. ახლა საჭიროა მხოლოდ ენერგიული მუშაობა და ჩვენ გვექნება ნამდვილი სოციალ ჰიგიენის მუზეუმი,—დაწესებულება დიდი მეცნიერული ღირებულებისა.

სოციალ-ჰიგიენის საკითხები უშუალოდ ეხება მთელ მოსახლეობის და განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილის ჯანმრთელობას. სოციალურ სენთან ბრძოლას საქართველოში აქვს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა. ასეთი სენი ჩვენში განადგურებას უქადის ჩვენს ხალხს. მართლაც თუ როგორ არის გავრცელებული და რა საშიშროებას წარმოადგენს მალარია, ჭლექი და ათაშანგი ჩვენი მოსახლეობისათვის—ეს დღეს პიონერმაც იცის.

არ შეიძლება წესიერად მოვაწყოთ ხალხის ჯანმრთელობის საქმე თუ შესწავლილი არ იქნება სოციალ-ჰიგიენის ყველა საკითხები. ჩვენ დღეს ძლიერ ცოტა გვყავს ჰიგიენისტ-ექიმები, რაც შეეხება ჰიგიენის სპეციალისტებს სოციალ-ჰიგიენაში ასეთები თითქმის არ მოგვეპოვება.

მუზეუმის შექმნა იქნება უდიდესი საბაბი ასეთ ექიმების კადრის შექმნისათვის. მუზეუმი არის სამოსწავლო დამხმარე დაწესებულება ჩვენ იუნივერსიტეტის სოციალ-ჰიგიენის კათედრისათვის. მუზეუმი შეიქმნება ცენტრი, როგორც სან.-განათლების მუშაობის, ისე სან.-განათლების მეთოდების შესწავლისათვის. ჩვენ პირობებში მუზეუმი მიაწოდებს ჩვენს პროვინციას, როგორც დამზადებულ—ადგილობრივ ტიპის მუზეუმებს, ისე სანიტარულ გამოყენებას. უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება, თუ ჩვენ შევს[illegible] ისეთი [illegible] მუზეუმთან, რომელიც დააკმაყოფილებს მთელ პროვინციის მოთხოვნილებას ამ დარგში. ადგილობრივ, თბილისში, მუზეუმი თავისი ექსპონატებით, დიაგრამებით, ფოტოგრაფიებით, კინო ან მაჩვენებელი ფარნით, სანიტარულ განათლებას შეიტანს მოსახლეობის ყველა ფენებში.

ყველაფერი ეს გაკეთდება თუ ამ დიდი საქმის ირგვლივ შემოიკრიბება ყველა ამ საქმით დაინტერესებული დაწესებულებები. თბილისში უნდა იყოს მხოლოდ ერთი სოციალ-ჰიგიენის მუზეუმი, რომელიც იქნება ცენტრალური მუზეუმი მთელი რესპუბლიკისათვის.

ჩვენ შევსძლებთ ახლო მომავალში შევქმნათ დიდი, ყოველმხრივ მოწყობილი სოციალ-ჰიგიენის მუზეუმი. დაინტერესებული დაწესებულებები თავის წარმომადგენლების სახით უნდა შევიდნენ მუზეუმის საბჭოში. კიდევ მეტი:—ამა თუ იმ დაწესებულებას შეუძლია თვით გაუძღვეს მუზეუმის იმ განყოფილების მუშაობას, რომლითაც ის უფრო დაინტერესებულია.

ვიჩქაროდ და შევქმნათ, როგორც პირობები, ისე დაწესებულებები, სადაც მეცნიერულად შეისწავლიან სოციალ-ჰიგიენის საკითხებს, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების მიხედვით დააგროვებენ აუარებელ ისტორიულ მასალას და შექმნიან მომავალ სამოქმედო გეგმას. სოციალ-ჰიგიენა საკითხებს უდგება სოციალური თვალსაზრისით,—ის მიმართავს უმთავრესად სოციალ ღონისძიებათ, რომელნიც ემსახურებიან მშრომელთა ჯანმრთელობის გაჯანსაღება-განმტკიცებას.

მეცნიერების ამ დარგმა და მის შესწავლამ უნდა დაიკავოს შესაფერი ადგილი საქართველოში. ასეთი მუზეუმის დაარსება და მისი წესიერად მოწყობა საძირკველს ჩაუყრის ჩვენში სოციალ-ჰიგიენის ყველა საკითხების დამუშავებას და მეცნიერულად შესწავლას. სოციალ-ჰიგიენის მუზეუმის დაარსებამ და მის მუშაობამ უნდა დაგვიხმაროს ჩვენი მშრომელის, ჩვენი ერის გაჯანსაღების საქმეში.

ექ. ივ. ლორთქიფანიძე.

# აღმშენებლობისაკენ

ცნობილია, რომ ძველი რუსეთის ეკონომიური პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში წმინდა კოლონიალური იყო. რუსეთს კოლონიები მეტროპოლიის გარეშე არ ჰქონდა და კოლონიალურ პოლიტიკას, ისე, როგორც სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები აფრიკაში, ან ინდოეთში—რუსეთი თავის განაპირა ქვეყნებში—ციმბირში, უკრაინაში, თურქესტანში და კავკასიაში აწარმოებდა.

მრეწველობა რუსეთში გაჩაღებული იყო მის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში; სამხრეთი უმთავრესად ნედლეულთა მიმწოდებელი იყო.

ყოფილი რუსეთის დასავლეთი განაპირა ქვეყნები: პოლონეთი, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, აგრეთვე ფინეთიც, ამ მხრივ, უკეთესს პირობებში იყვნენ; იქ მრეწველობა წინეთაც საკმაოდ განვითარებული იყო; რუსეთი-

დან ჩამოშორებისას, ამ ქვეყნებისათვის ძნელი არ იყო პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად ეკონომიური დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განვითარება.

სულ სხვა ობიექტიურ პირობებში ხდება მრეწველობის აღორძინება ჩვენში—საქართველოში.

ჩვენ ყოველთვის თავიდან დაწყება გვიხდება. ძველი რეჟიმიდან არ მიგვიღია სამკვიდროთ არც ერთი განვითარებული სამრეწველო დარგი, არც ერთი რიგიანი ქარხანა. ძველი რეჟიმის ეკონომიური პოლიტიკის ანგარიშში შედიოდა, საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად მუდამ რუსეთის უღელს ქვეშ ყოფილიყო.

მენშევიკების დროს არ იყო საკმაო ობიექტიური პირობები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

პირიქით ეხლა, ფრიად ხელსაყრელი პირობებია ჩვენი სწრაფი ეკონომიური განვითარებისათვის: უამრავი სამხედრო ფრონტები მოსპობილია, ქვეყანა სამხედრო მდგომარეობიდან გადასულია მშვიდობიან აღორძინების ლიანდაგზე—ერთი სიტყვით შექმნილია ფრიად საქმიანი ატმოსფერა კულტურულ და ეკონომიურ მშენებლობისათვის.

მოხერხებული მომენტით დროზე უნდა სარგებლობა. ისტორია, ამბობენ, ორჯერ არ მეორდებაო. როცა ამ რამოდენიმე ათეული წლის წინეთ ქართველმა ბურჟუაზიამ თვალები გაახილა, მისდა საუბედუროთ დაინახა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უმთავრესი მბრძანებელი სიმაღლეები, კარგა ხანია, სომხის ბურჟუაზიის ხელში იყო. ეხლა ეკონომიური პროგრესის გამტარებლად ჩვენში ხმობილია პროლეტარიატი. გასაკვირველი იქნება. თუ საჭირო უნარიანობა ვერ გამოვიჩინეთ, რომ აღმშენებლობის სიმძიმის ცენტრი ჩვენგან სხვაგან გადაიხაროს.

ყოველი აგრარიული ქვეყნის იდეალს შეადგენს მისი ინდუსტრიალურ ქვეყნად გარდაქმნა.

სხვა გარემოება რომ არ მივიღოთ სახეში, მარტო ნედლეულთა გარეთ გაზიდვა სრულიად ჰფიტავს ქვეყანას, ერთხელ ამოღებული მადნის განახლება არ ხდება ბუნებაში, ნიადაგს, ყოველ მოსავლის შემდეგ თანდათან, აკლდება სინოყივრე, და მოითხოვს ძვირად ღირებულს სასუქს. ერთი სიტყვით, აგრარიული ქვეყანა, თუ დროზე არ დაადგა ინდუსტრიალიზაციის გზას, საბოლოოთ მწარე ბედი მოელის.

საბჭოთა კავშირისთვის მთლიანად, მით უფრო აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ინდუსტრიალიზაცია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიური ბლოკადის გაუქმება შეიძლება მხოლოდ საკუთარი მრეწველობის ფართო განვითარებით.

ეხლა მოვიგონოთ რა გაკეთდა, ან რა კეთდება ჩვენში ამ სფეროში.

უეჭველია, ეკონომიური აღორძინების აუცილებელ პირობას შეადგენს მოხერხებული მიმოსვლის გზები. ამ სფეროში უკვე არის თვალსაჩინო მიღწევანი: ჩვენი რკ. გზის მოძრავი შემადგენლობა, ნაწილობრივ, განახლებულია. ზოგიერთი ხიდები სრულიად განახლებულია, ზოგი ნაწილობრივ. ახლად გაყვანილია რამოდენიმე ათეული კილომეტრის სიგრძე რკ. გზა, კეთდება შავი ზღვის პირა რკ. გზა, რასაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. შეკეთებულია მრავალი შარა-გზები ხოლო გაყვანილია რამოდენიმე ახალი. რიონზე ნაოსნობა, რომელიც აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია შეწყვეტილია, მალე განახლდება.

მეორე აუცილებელი მრეწველობის გასაჩაღებლად, სათბობი მასალის შოვნაა.

ჩვენ გვაქვს უკვე ექსპლოატაციაში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, სადაც მადანის ამოღებამ უკვე ომის წინა დროინდელ ნორმას გაცილებით გადააჭარბა, გვაქვს აგრეთვე ტყვარჩელის შესანიშნავი ქვა-ნახშირი, რომელიც ჯერ კიდევ ელის ექსპლოატაციას.

მაგრამ ეხლა საერთოდ მიღებულია, რომ იქ, სადაც უფასო წყლის ენერგია საკმაოდ მოიპოება, ეკონომიურად უფრო რაციონალურია „თეთრი ნახშირი“-ს ენერგიის ხმარება. საჭიროა შევჩერდეთ ჩვენს ელექტროფიკაციაზე. ვფიქრობ, საკმაოდ დასაბუთებული იქნება ბრმებისთვისაც კი—გრანდიოზული მიღწევა ამ დარგში, როცა სულ მოკლე ხანში, ზაჰესის შუქი მოაღწევს ჩვენამდე.

თხელი სათბობი მასალა, ნავთი—ნერვია თანამედროვე ინდუსტრიის. ნავთის ნიშნები ჩვენში ბევრგან არის. ამ გარემოებას სათანადო ანგარიში გაუწიეს. გურიაში (ომფორეთში—სუფსის რაიონი) უკვე შეუდგენ ნავთის წყაროს კვლევა-ძიებას, ჯერ-ჯერობით ამისათვის გადაიდვა ნახევარ მილიონზე მეტი ფული. თუ ძიებამ დადებითი შედეგი მოგვცა, გურიაში სულ ახლო მომავალში, გაჩაღდება ნავთის მრეწველობა.

მაგრამ არა მხოლოდ წინასწარი ნიადაგის მზადება საქართველოს ინდუსტრიალიზაციისათვის, უკვე არის პრაქტიკული განხორციელება ზოგიერთ წამოწყებათა. მოვიყვან ორიოდე მაგალითს: მატყლით ჩვენ შედარებით მდიდარი ვართ. მისი დამუშავება საჩოხე შალად იმერეთის ზოგიერთ რაიონებში დღესაც სწარმოებს შინამრეწველურად ისეთივე დაზგების საშუალებით, რომელთაც, ჯერ კიდევ რომაელ ისტორიკოსის—ტაციტის დროს ხმარობდენ ძველი „კოლხეთელები“. ეხლა შიგა რუსეთიდან გადმოტანილია ქუთაისში ერთ-ერთი მაუდის ქარხანა, რომელიც უკვე მუშაობს.

ჩვენი აბრეშუმის პარკი უცხოეთში გაჰქონდათ და იქ მუშავდებოდა. ერთი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა მოსკოვშიც ყოფილა თურმე. ეს ქარხანა იქ ქართულ პარკზე მუშაობდა. ქარხანა ეხლა განზრახულია თბილისში გადმოიტანონ.

ჩვენში სადაც აუარებელი სხვადასხვა ჯიშების ქვებია, საკმაო თიხაც, ქვიშაც, კირქვაც, ქვანახშირიც—დღემდე არც ერთი ცემენტის გამოსაწვავი ქარხანა არ გვაქვს. ცემენტი, რომელიც აუცილებელია ყოველივე აღმშენებლობისათვის, შემოგვაქვს რუსეთიდან, მაშინ როცა ჩვენ შეგვიძლია არა თუ სრულად დავკმაყოფილებთ ცემენტზე შინაური მოთხოვნილების, არამედ გარეთაც გატანა იაფი ნაწარმოების.

გადაწყვეტილია კავთისხევში დიდი ცემენტის ქარხნის აგება, სათანადო თანხები გაღებულია, საქმე მხოლოდ მის პრაქტიკულ განხორციელებაშია.

არაა საჭირო შეჩერება იმ ფრიად მნიშვნელოვან და საინტერესო პროექტებზე, რომელნიც ჯერ მთავრობის პორტფელშია და ელიან თანდათანობითი განხორციელებას. მოკლე ნათქვამიდანაც აშკარაა, თუ რა დიდია ის მიზნები, რომლებიც ასულდგმულებს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინებას და რა გრანდიოზულია ის პერსპექტივები, რომელნიც მას წინ უდგას.

**ივ. ხელაძე.**

# კვირიდან-კვირამდე

## საბჭოთა კავშირი და ინგლისი

გასულ კვირას ანტისაბჭოთა კამპანიის ტემპი, ხასიათდება ერთგვარი შენელებით. რეაქციონური გაზეთი „დეილი მეილ“-ი ინგლისის პოზიციას საბჭოთა წინაშე „უცნაურ და არა ნორმალურს“ უწოდებს. დანარჩენი გაზეთები უფრო ლმობიერი ტონით ლაპარაკობენ, ვიდრე წინა კვირეებში.

**საზოგადოთ ამ კითხვამ მწვავე ხასიათი დაჰკარგა. პო**ლიტიკურ სფეროებში ჰფიქრობენ, რომ კრიზისმა დროებით ჩაიარა. მუშათა წრეებში კი აღიარებენ, რომ ეს „შენელება“ დროებითია და რომ საშიშროებას კიდევ არ გაუვლია. მემარცხენე მუშათა წრეებში აცხადებენ, რომ რა წამს ინგლისისა და ჩინეთის დამოკიდებულება არა სასურველ ხასიათს მიიღებს — ინგლის საბჭოთა საკითხი კვლავ გამწვავდება.

**ჩემბერლენი დიპლომატიური დამოკიდებულების შე-**

წყვეტის წინაალმდეგია. მან, საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხების შესახებ, მთავრობის წევრებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტის წინაალმდეგ ექვს არგუმენტს შეიცავს.

### თეთრგვარდიელები

ხოლო ანტისაბჭოთა კამპანიის გასამწვავებლად არ სცხრებიან გადახვეწილი თეთრგვარდიელები. ამისათვის ისინი სცემენ მთელ რიგს ფურცლებისას, რომლებსაც ავრცელებენ მთელ ინგლისში და მოუხმობენ ინგლისელებს, რათა მათ მიიღონ ყოვლგვარი ზომები ინგლისიდან წითლების გასაძევებლად.

### ჩინეთის რევოლიუცია.

ჩინეთის ხალხი კვლავ თავის უფლებებისათვის იბრძვის,—კანტონის ჯარები შანხაისაკენ მიიწევენ. ინგლისი კი თავის ორმაგ პოლიტიკას განაგრძობს. ერთის მხრივ ჰგზავნის ჯარს შანხაიში და ეხმარება რეაქციონურ გენერლებს, მეორეს მხრივ—მოსალაპარაკებლად იწვევს ეროვნულ მთავრობას. უკანასკნელი ცნობებით ინგლისმა კვლავ გაგზავნა ინდოეთიდან ორი ბათალიონი ქვეითა ჯარისა და აგრეთვე გალასტერის პოლკი. რაც შეეხება დანარჩენ ლონდონიდან გაგზავნილ ჯარს, ეს ჯარი შეჩერდება გზაში—ჰონკონგში და არ შევა შანხაიში, თუ რაიმე დიდი საშიშროება არ მოხდება.

### ქაღალდის ქარხანა.

მიმდინარე წლის განმავლობაში შეუდგებიან ქაღალდის ქარხნის აგებას მდ. ენგურზე. ქარხნის ასაგებად ამ წლისათვის გადადებულია მილიონ-ნახევარი მანეთი. ამ ქარხნის ასაგებად საქ. უმ. ეკ. საბჭოში წარმოდგენილი იყო ორი ვარიანტი. ერთი ენგურის და მეორე—ბზიბის რაიონში, ხოლო, ვინაიდან ენგურის მიდამოებში ქარხნის აგებისათვის ნაკლები ხარჯი იქნება საჭირო და ამავე დროს სხვა პირობებიც ხელს უწყობენ ამ რაიონში ქაღალდის ქარხნის მოთხოვნილებას, ამიტომ გადაწყდა ქარხანა აგებულ იქნას ენგურის მიდამოებში. ამნაირად ქაღალდის კრიზისი, რომელსაც ჩვენ სასტიკად განვიცდით, მალე დაძლეული იქნება.

ორი წლის შემდეგ შესრულდება სამასი წელი, რაც პირველად ქართული წიგნი დაიბეჭდა, ამავე დროისთვის ჩვენ გვექნება ქაღალდის ქარხანა, რაც ჩვენ გამომცემლობაა ააყვავებს...

### ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები.

ბათომში მალე შეუდგებიან „აზნავთის“ ნავთსახდელი ქარხნის აშენებას. მის ასაშენებელ ადგილად მიღებულ იქნა ქორელის-წყლის რაიონი. ამ ქარხანას შეძლება ექნება ნავთის ყოველნაირი გადამუშავება და აგრეთვე დამუშავება სპეციალურ პროდუქტებისა.

მალე ბათომი კვლავ გაცოცხლდება!..

### სატკეჩე ქარხანა.

ბორჯომში დამთავრდა სატკეჩე ქარხნის აგება. ასეთი ქარხანა საბჭოთა საკავშირო ტერიტორიაზე არ მოიპოება და მსოფლიოშიაც პირველი ალაგი უჭირავს. დანიის უდიდესი ქარხანა ამზადებს მხოლოდ 300.000 საკასრე კომპლექტს, მაშინ, როცა ბორჯომის ქარხანა დაამზადებს 600.000 კომპლექტს. ქარხნის მთელი პროდუქცია გაიგზავნება ციმბირში საექსპორტო კარაქის კასრებისათვის.

ნედლეულის მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია. ქარხანა შენდება ერთი წლის განმავლობაში. მოწყობილობა გამოწერილია დანიიდან და შვეციიდან.

აქამდის საკასრე ტკეჩები საბჭოთა კავშირში შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. ქარხანაში უკვე მიღებულია 156 მუშა.

საზეიმო გახსნა დანიშნულია ოცდახუთ თებერვალს.

### საინტერესო ისტორიული დოკუმენტი.

თვითმპყრობელობის დროს, 1832 წელს, საქართველოში მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება რუსეთის მპყრობელობის ხელიდან განთავისუფლების მიზნით. ამ შეთქმულების შესახებ ლენინგრადის არქივში აღმოჩნდა საქმეები. საქ. ცენტრ. არქივის მიერ სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რათა უკანასკნელს ზომები მიეღო ამ საქმეების საქართველოში დაბრუნების შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატმა ეს საკითხი აღძრა რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის წინაშე, რომელმაც გადმოუგზავნა საქ. ცენტრარქივს აღნიშნული საქმეები 29 ტომად.

## ღია წერილი ემიგრანტ ისიდორე ქარსელაძეს პარიზში

**ისიდორე!**

შენ გაგიკვირდება, რომ მხოლოდ სამი წლის შემდეგ გპასუხობ. თუ მართლაც ძლიერ დაგვიანებით ვიღებ კალამს ხელში, ეს იმიტომ, რომ შენს შეკითხვებს დღესაც არ დაუკარგავს შენთვის მნიშვნელობა და ინტერესი.

23 წლის მიწურულში შენ ბერლინიდან მეკითხებოდი:

— „რაშია საქმე? 12 ათასი მენშევიკების კონფერენცია რომ მოუწყვიათ, ეს ორგანიზაცია სამუდამოდ დარჩება თუ გაითქვიფება კომუნისტებშიო. ამბობენ, რომ ტფილისში უკვე ხდება ნაციონალიზაცია“-ო და სხვ.

როგორც გატყობ, ჩემო ისიდორე, შენ ჩემზე ადრე გაულევიძებიხარ სოციალისტურ ჰიას, ჩემზე ადრე ჩასახულა შენში მენ. პარტიაში წარმოებულ პოლიტიკის რევიზიის საჭიროება, ვინაიდან, როდესაც შენ ევროპიდან ასეთ სტრიქონებს გზავნიდი აქეთ, მე იმ ხანებში აქ ჯერ კიდევ შეურიგებლობის პოზიციაზე ვიდექ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ვიბრძოდი. მე მაშინ კიდევ მჯეროდა „ნოების მთავრობის“, როგორც შენ ეძახი ჟორდანიას მთავრობას კოლია ჰუმბურიძისადმი მიწერილ წერილში. ციახ, შენ თურმე მაშინ მე გამისწარი, ეხლა კი მე გაგასწარი.

როდესაც ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ ისიდორე ქარსელაძემ ააწყო „ახალი საქართველოს“ პირველი ნომერი პარიზშიო, გულწრფელად გამეხარდა, მე მაშინ უკვე საბჭოთა პლატფორმაზე ვიდექი და მესიამოვნა, რომ ჩემი ძველი, სიყრმის ამხანაგი ისიდორე განთავისუფლებულა „ნოების მთავრობის“ გავლენისაგან და ნამდვილი მუშური სოციალისტური გზა მოუნახავს მეთქი. და როდესაც გადმოგვცეს, რომ ისიდორე კვლავ შეუდგა „ნოეების“ „ბრძოლის“ აწყობასო, ამან ჩვენში გაკვირვება გამოიწვია და მასთან ნათელჰყო, თუ მართლაც რა ძნელი ყოფილა ქართველი ემიგრანტისათვის იმ ხაფანგიდან თავის დაღწევა, რომელიც დაუდგამთ მანდ ემიგრაციის ბელადებს.

რომ ეს ხაფანგი მართლაც ძნელი დასაღწევი ყოფილა, მე სავსებით დავრწმუნდი იმ მიწერ-მოწერიდან,

რომელსაც შენ და შენი მანდაური ამხანაგები აწარმოებდით კოლია ჭუმპურიძესთან,—პარიზიდან პრაღაში, მაშინ თქვენ თითქოს რაღაც შეთქმულებას აწყობდით „ნოების“ წინააღმდეგ, თითქოს ეს შეთქმულება იყო საქმიანი, რომელსაც ადრე თუ გვიან ხორცი უნდა შეესხა, მაგრამ ვხედავ რომ ჯერაც მათ მუხრუჭებს ქვეშ იმყოფებით. შენ სწერდი ჭუმბურიძეს გიორგი ერაძის სიტყვებს: „აგვისტოს აჯანყების შედეგი იყო მუშათა კომისიის დაარსება, მე წინეთაც ვამბობდი, რომ პარტია შედგა მოლიპულ და შემცდარ გზაზე. ახლა მე სრულიად დარწმუნებული ვარო“.

ეხლა ხომ ვიცით თქვენ მანდ და ჩვენ აქ, რომ „პარტია“ განმეორებით ეხლაც აპირებს აჯანყების მოწყობას. იგზავნება ფურცლები - ფურცლებზე. მოგზაურობს პარიზის საგანგებო ემისარები, ირღვევა საზოგადოებრივი მყუდროება. იქნება საომარი მდგომარეობა. და თუ ერთხელ მომხდარ უბედურების შემდეგ კვლავ დაუპირებენ ქართველ ხალხს მოტყუებას, იქნება თუ არა ოპოზიციის მიერ ამის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგმული და იტყვის თუ არა გიორგი ერაძე მოსალოდნელ საშინელების დასაგმობ სიტყვას?

აქ ხალხს ატყუებენ, ავანტიურაში ჩათრევას უპირებენ ლამობენ გაიმეორონ აგვისტოს შავი დღეები, ამას სჩადის „ნოების მთავრობა, და ასეთ დროს ემიგრაციაში მყოფი ჩვენი ძველი ამხანაგები მოტყუებულ ხალხისადმი მხოლოდ სამძიმარის გამოცხადებით კმაყოფილდებიან.

კარგად ჩაუკვირდი საქმეს, ჩემო ისიდორე. საბჭოთა კავშირის საგარეო გართულებებს უკავშირებს „ნოების“ „მთავრობა“ საქართველოს ბედ-იღბალს. ამ გზით მოელის იგი „თავისუფალ დემოკრატ. საქართველოს“ მანდატს. მაგრამ ეს შემცდარი აზრია, ეს პოლიტიკური უსუსურობაა. ვთქვათ, მოხდა მარცხი და ევროპის იმპერიალისტებმა საბჭოთა ძალაუფლება დასცა; როგორ გგონიათ თქვენ ევროპის იმპერიალისტური რეაქცია რუსეთში საბჭოების ნაცვლად სოციალისტებს წამოასკუპებს? უნდა დამეთანხმო ისიდორე, რომ რუსეთის სინამდვილეს ახასიათებს ორი უკიდურესი ფორმა მმართველობისა: ან მარჯვენა, ან მარცხენა, დღეს ძალაუფლება საბჭ. ხელშია, თუ დაეცა უკანასკნელი, დამერწმუნე, რომ რუსეთის შავრაზმელ ემიგრაციას ვერავინ შემოასწრებს რუსეთში. საშუალო ძალა ვერ მოიკიდებს ფეხს.

მონარქია შეურიგდება საქართველოს დამოუკიდებლობას? არამც თუ მონარქია, საქართველოს დადამოუკიდებლობაზედ ძუნწობენ თვით რუსეთის სოციალისტებიც-კი. რუსის ესერები და მენშევიკები აშკარად და გადაჭრით ამბობენ: როგორი პოლიტიკური მდგომარეობაც არ უნდა შეიქნეს რუსეთში, დამოუკიდებლობის საკითხში ჩვენ მაინც ქართველ მენშევიკებთან ერთად არ ვიქნებითო.

მაშ ვისი, ან რისი იმედით სულდგმულობს პარიზის შეურიგებლები, რომელთაც თეთრი გიორგი კერპად გაუხდიათ, ხოლო მსოფლიოს კატასტროფიულ ჭიდილში ქართველი ერის ბედი ჭადრაკის სათამაშო ფიგურად?

პარიზის „ოპოზიციას“ მართებს კარგად და დროულად ჩაუკვირდეს შექმნილ მდგომარეობას. მას მართებს მომენტის შეფასება, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და აქედან სწორი დიაგნოზის დასმა: საბჭ. ძალაუფლებასთან ერთად დგომა, ერთად შრომა თუ მის წინააღმდეგ დარაზმული ბრძოლა?

ქართველი ხალხის მშრომელმა ნაწილმა პირველი ირჩია. ის არ შემცდარა. ამას უკარნახებს მას სრული შეგნება, სოციალისტური სინდისი და, თუ გნებავთ, მისი ეროვნული თავმოყვარეობაც.

გიორგი ერაძეს ბევრ სხვაზე მეტი მოეთხოვება. მას მეტი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე. ოპოზიცია და ოპოზიციონერობა მანამდეა კარგი, სანამ ხალხი პროვოკაციის ანკესს არ წამოდებია... ამის შემდეგ ოპოზიციონერობა გვიან-ღა იქნება.

შენ კითხულობდი 12 ათასი მუშის შესახებ, შენი წერილის შემდეგ 12-ს ცამეტი მოემატა ეს ხალხი არ არის დეზერტირები, დაღლილები, მოქანცულები, როგორც ამას „ბრძოლაში“ ვკითხულობთ. ისინი აგვისტოს შვილები, ძველი მუშები, გლეხები, ჭაღარა რევოლიუციონერებია. ეს ხალი მივიდა ხელისუფლებასთან არა როგორც **დამარცხებული გამარჯვებულთან**, არამედ როგორც **ძმა-ძმასთან**. მათი პოზიცია გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სიყვარულით, რომელსაც საფუძვლად უდევს რევოლიუციის სიყვარული.

მათი ფიცი მტკიცეა და ურყევი. არა მგონია იყოს ძალა, რომელმაც შესძლოს გასტეხოს, გათიშოს მათი კავშირი.

ყველა ამათ აერთიანებს ჟურნალი **„ახალი გზა“**: ბევრ მათგანს შენც კარგათ იცნობ. შენთან ერთად სტამბის ადრინდელ ლეგალურ და არალეგალურ მუშებს ოაგისახელებ: მანასე გოგუაძე, სტეფანე ელიაძე, ლადო მიგრელაძე, დათიკო ჭელიძე, უშანგი ჯაში, და ბევრი სხვა ძველი მუშები ჩვენთან არიან; რუსეთში გადასახლებული და უკვე დაბრუნებული ფილიპე ბერძენიშვილი ჩვენთან არის. ყველა მათი სახელები ვფიქრობთ ბევრ მოგონებებს გამოიწვევს შენში.

ჩვენ ყველანი ერთად ვართ, ერთად ვმუშაობთ. ჩვენ გვინდა ავაშოროთ მშრომელ ერს მეორე აგვისტო. თქვენ კი მანდედან მუგუზლებს გვიგზავნით. გვაცადეთ წამება, ნუ გვსპობთ, ნუ გვანადგურებთ, ნუ ქმნით ისეთ პირობებს, რომ რეაქციამ გადაიაროს ქართველი ხალხის სხეულზე.

ვერ გაგვიგია: „ბრძოლის“ ამწყობი--ბრძოლას გმობს, და ამ ბრძოლის მომწყობს კი დახმარებას უწევს.

ერაძის სიტყვით, მუშათა კომისიის შექმნა აგვისტოს გამოუწვევია, და ის გმობს ასეთ გზას... როდესაც მისი პარიზელი ამხანაგები მეორე აგვისტოს უპირდებიან საქართველოს, ის სდუმს. მეხუზლა ნოე რამიშვილს მუსოლინის სახელით ნათლავს და თვით-კი ამ მუსოლინთან მუშაობს. თქვენს ყოფ. ამხანაგებს გვაკვირვებს ასეთი საქციელი. ნუ თუ მართლა ასე მაგრად შემოგიჭირეს არტახები?

1923 წელში მეკითხებოდი ნაციონალიზაციის შესახებ. ერთი დაუსხლტი მაგათ ხელიდან, ჩამოდი და შენი თვალით ნახე, მართლა გატარებულია აქ ნაციონალიზაცია თუ არა; ერთი ნახე რა ტემპით სწარმოებს აქ მუშაობა ამშენებლობის ყოველგვარ დარგში.

შენ მიერ აწყობილ ბრძოლაში „ნოები“ სწერენ, რომ საქართველო ინგრევა და ირღვევაო. ჩვენ კი, მუშები და მშრომელი გლეხები, ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ საქართველო მხოლოდ ეხლა შენდება...

დაფიქრდით პარიზელო ამხანაგებო, ხმა ამოიღეთ, თქვენი სიჩუმით დასტურს ნუ მისცემთ ახალ ავანტიურას, ნუ გვიშლით ხელს იმ დიდ საქმეში, რომელსაც ჩვენ აქ შეძლებისდაგვარად ვაკეთებთ და გავაკეთებთ კიდევ.

მიიღე ჩემგან გულწრფელი სალამი.

ალისტრო ვადაჭკორია.

# დ ა ვ ი ჯ ე რ ო?

ეს ერთი ხანია გაზეთები გადმოგვცემენ საშინელ ამბებს:—პოლონეთში თავს იყრიან საქართველოდან გახიზნლი უკმაყოფილო ელემენტები და დასავლეთიდან მოსალოდნელ თავდასხმას, საბჭოთა კავშირთან ომს უკავშირებენ ვითომ და საქართველოს ეროვნულ პრობლემას და ხელახალი აჯანყების მოწყობით ფიქრობენ თავიანთ გულის ჯავრის ამოყრას ბოლშევიკებზეო... კიდევ ავანტიურა!... რევანში და შურისძიება; აი პარიზის დევიზი!..

ნუ თუ კიდევ დარჩა პარიზში, ან ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელიც კიდევ გაბედავს აგვისტოს ამბების განმეორებას? აი კითხვა, რომელიც მე მოსვენებას არ მაძლევს. **რატომ არ გვასვენებთ!**—მინდა საყვირით გადავძახო მთელ ქვეყანას, განსაკუთრებით კი, პარიზში მოკალათებულ **მენშევიკებს,** ქართველი ხალხის ეს ნამდვილი ამოძახილი...

გვაკმარეთ **ტანჯვა!**—მინდა გავაგონო ამ ვაჟბატონებს, ეს ნამდვილი ქართველი დედის ვედრება და გულის ტკივილი, მაგრამ გავაგონებ კი?..

მე არა ვარ კომუნისტი, მაგრამ ვხედავ, რომ კომუნისტები ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. ხელს, რომ არ ვუშლიდეთ, კიდევ მეტს გააკეთებენ... ოცი წელი მენშევიკების პარტიის წევრი ვიყავი. მეც მათთან ვმუშაობდი შეძლებისდაგვარად.

ხუთი წელი ვებრძოლეთ კომუნისტებს, განზე ვართ გამდგარი, ვებღტიბით, თვალებსაც ვხუჭავთ მათ დანახვაზე, ბევრს ისტერიკაც მოსდის, მაგრამ, რომ ისინი **ქმნიან, აშენებენ, იზრდებიან, ძლიერდებიან სახელმწიფოებრივად აზროვნობენ და ქვეყანასაც უვლიან**—ეს ფაქტია...

მაშ რაშია საქმე? რა იქნება, რომ ამ საქმიან ქვეყნის ამშენებელ პარტიას ამოუდგეთ გვერდში და ვიმუშაოთ მასთან? რა იქნება, რომ მივანებოთ თავი უნაყოფო ფანტაზიებს, ყოველივე ღონისძიებით შევებრძოლოთ, შინაური ყოვლად უაზრო გამოსვლები და აჯანყებები სასტიკად დავგმოთ და ხელი შეუწყოთ მშვიდობიანობის განმტკიცებას? რა იქნება, რომ მშრომელი ხალხი გავანთავისუფლოთ მუდამ ავანტიურის შიშიდან, მოვასვენოთ და ერთი თავისუფლად ამოვასუნთქვინოთ?

რა იქნება და უმაღლესი ბედნიერება, ნამდვილი სამოთხე... მაგრამ „ჟორდანიას ეწყინება“—იფიქრებს ზოგიერთი.

ჟორდანიას დიდი ამაგი მიუძღვის საქართველოსადმი, ამისათვის მას ერი არ დაივიწყებს, მაგრამ უნდა ახსოვდეს,—სიკეთე მან ყველას ერთი ორად წაგვამწარა და არც ამისათვის დავივიწყებთ...

ძროხამაც ბევრი მოიწველა, მაგრამ ბოლოს წიხლი ჰკრა და დაღვარა...

ჟორდანიასაც ასე მოუვიდა...

20 წლ. სტაჟიანი ყოფილი სოც.-დემ.

**ლავრ. ნაკაიძე.**

# ვაი სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე

ევროპაში გახიზნული ჩვენი ყოფილი „დემოკრატიული მთავრობა“ ისე დახურდავებულა, რომ აღარაფერს ერიდება...

გადავიკითხე „ახალი გზა“ ოთხივე ნომერი და, უნდა მოგახსენოთ, რომ გული მეტკინა...

გული მეტკინა მით, რომ ჩვენს ყოფილ „დემოკრატიულ მთავრობას“ რაღაც ხელსაყრელი დროს მოლოდინი უგვრძნია და ამოძრავებულა. მას წყეული იმპერიალისტური ევროპის დიპლომატიის შთაგონებით მიზნათ დაუსახავს საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოთიშვა და მას ურჩევს ევროპის ორიენტაციის მიღებას. სცდებიან გახიზნული ვაჟბატონები. ისინი თავის ასეთ საწადელს ვეღარ მიაღწევენ... ისინი ტყუილად დამშვრალან. დღეს მათი მომხრე საქართველოში აღარავინ მოიპოვება.

და თუ ასეთი კიდევ არის ვინმე უმჯობესია თვალები აიხვიოს და ახლავე გადავარდეს წყალში, რადგანაც მშრომელი ხალხის ღალატს აღარავის აღარ ვაპატიებთ. გახიზნულ „მთავრობას“ და იმათ ამყოლ-დამყოლთ ემიგრანტებს ნუ ავიწყდებათ რომ

აქ ადგილი აღარა აქვს·<br>
სისხლით შელებილ ხელებსა<br>
ვერა, ვეღარ შევიყვარებთ<br>
ბურჟუაზიის მცველებსა...

დიახ ნუ ავიწყდებათ გახიზნულ ბატონებს, რომ 1924 წლის აგვისტოს ამბებმა ხალხს საუკუნოთ აუხილეს თვალები და მას დღეს ვარავინ მოახვევს თავზე ავანტიურას. დღეს ასე ადვილათ აღარავინ მოსტყუვდება. ქართველმა მშრომელმა ხალხმა ნათლად შეიგნო, თუ ვინ არის მისი მტერი, ან მოყვარე.

ქართველი ხალხი თავისი საკუთარი თვალებით ხედავს, რომ დღევანდელი რუსეთი ნიკოლოზის დროინდელი რუსეთი არ არის...

ხალხმა თავისი საკუთარი თვალებით დაინახა, რომ არც კომუნისტები ყოფილან ისეთი საშიშროება, როგორც მას რამიშვილის აგენტები უქადაგებდნენ...

იგი უკვე დარწმუნდა, რომ კომუნისტები და მხოლოდ კომუნისტები არიან მშრომელი ხალხის ნამდვილი დამცველები. ამიტომაც ქართველმა მშრომელმა ხალხმა ისინი შეიყვარა. ნათქვამია: „საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“. და კომუნისტებმაც საქმით დაგვიმტკიცეს, რომ ისინი მშრომელი ხალხის ინტერესების საუკეთესო დამცველები არიან.

ვინც ბეცი არ არის, მისთვის აშკარაა ეს გარემოება.

ვისაც უყვარს თავისი მშობელი ერი, ვისაც შესტკივა გული ხალხის ინტერესებზე, ის, დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად შესძახებს ევროპაში გადახვეწილ „მთავრობას“: შორს ჩვენგან. მოგვშორდით, მოგვასვენეთ. ხელს ნუ გვიშლით, გვაცალეთ მუშაობა.

რაჭველი გლეხი **ვასილ კირვალიძე.**

# სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს

პირადათ მე 1923 წლიდან გამოვედი ს. ს.-დ. პარტიიდან, რომლის წევრადაც ამ პარტიის დაარსებიდან ვითვლებოდი და შეძლების და გვარად მის დირექტივებს ვასრულებდი.

ამ უკანასკნელ დროს ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია გაზეთ: „ახალი გზის“ ნომერში დაბეჭდილმა ჩვენი ძველი ხელმძღვანელების, როგორიც არის: პ. გელეიშვილი, ივ. გომართელი, კ. სულაქველიძე და სხვები წერილებმა, რომლებიც მოუწოდებენ ქართველ მშრომელ ხალხს, რომ კიდევ არ წამოეგონ 1924 წ. აგვისტოსებურ ავანტიურის ანკესზე.

სასიხარულოა ასეთი მოვლენა და მე ვუსურვებდი ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს დაუღალავი ენერგიით განაგრძონ, როგორც წერით, ისე აგიტაცია-პროპაგანდით მუშაობა, რომ მოსალოდნელი უბედურება თავიდან ააშორონ ქართველ ხალხს. არიან ჩვენში ისეთებიც, რომლე-

ბიც ჯერ კიდევ მერყეობენ. ჩვენ გვწამს, რომ, ისინი შეიგნებენ მომენტის მნიშვნელობას და დროზე დაგმობენ ავანტიურისტების მოქმედებას. თორემ ბოლოს გვიან იქნება თითზე კბენა და სინანული.

ვარწმუნებ ყველას, რომ არც ჩვენ, ძველი მუშები და ჭაღარა გლეხები ვიქნებით გულზე ხელდაკრეფილები და მთელი ჩვენის ძალღონით შევებრძოლებით აგვისტოს ავანტიურის განმეორების მსურველებს. ჩვენ არავის არ მივსცემთ ნებას, რომ ხიფათში ჩააყენონ ჩვენი სისხლით მოპოებული თავისუფლება.

რაც შეეხება საზღვარ-გარეთ გასულ ემიგრაციებს, ვთხოვთ თავი გაგვანებონ, ნუ გააბამენ უბედურების ქსელში ქართველ მშრომელ ხალხს, აკმარონ ისიც, რაც მას წარსულ წლებში თავს დაატეხეს. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის პირები, რომლებიც 1905 წლიდან—დღემდე მუშაობდნენ რევოლიუციის რიგებში, რომლებიც ხედავენ თავიანთ ნამოქმედარს, არ აყვებიან „საქართველოს განმანთავისუფლებლების" ფეხის ხმას და მთელი თავისი ძალ-ღონით შეებრძოლებიან მათ.

საჭიროა მეტი ენერგია, რათა აშენდეს და გამაგრდეს სოციალისტური სახელმწიფო.

ყველამ შრომისაკენ, ერთიან მთლიანი ფრონტის შესაქმნელად!

**ლადიკო ყენია**

# რუსული ენა და ჩვენი ახალგაზრდობა

მეფის მთავრობა შემოვიდა საქართველოში, როგორც დამპყრობელი ძალა და აშკარად დაადგა ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პოლიტიკას.

რუსეთის მონრქიამ მოინდომა სრულიად უხეში პოლიტიკით ქართული კულტურის აღმოფხვრა და ქართულ სხეულზე რუსული სისტემის განმტკიცება.

აქ ყველასათვის ნათელი გახდა რუსიფიკატორული პოლიტიკის შინაარსი მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე. ქართული ენა განდევნილი იყო, როგორც დაწესებულებიდან, ისე სკოლიდანაც.

მეფის მთავრობამ, რომელიც ისახავდა მიზნად ქართველი ხალხის კულტურულ განადგურებას, გაძარცვა ჩვენი ერი კულტურულად და გაზიდა რუსეთში აუარებელი, ფასდაუდებელი სხვადასხვა განძეულობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების და შემოქმედების საუცხოვო ნიმუშს.

საშინელი იყო ის ნაციონალისტური შეურაცყოფა და შევიწროება, რომელსაც მეფის რუსეთი აყენებდა საქართველოს მთელი საუკუნის განმავლობაში.

მეფის რუსეთში შედიოდნენ მრავალი ერები, რომელნიც თვითმპყრობელობის უხეში ძალის მეოხებით მექანიკურად იყვნენ გაერთიანებულნი. ეს ხელოვნურად შექმნილი გაერთიანება უნდა დაშლილიყო რევოლიუციის შემდეგ და ასეც მოხდა.

დღეს უკვე ქვეყანამ იცის, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება მხოლოდ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა.

ოქტომბრის რევოლიუციამ საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ ნაციონალურ ურთიერთობას.

საბჭოთა მთავრობამ რუსეთში ნაციონალურ თვითგამორკვევის გზაზე გამოიყვანა ისეთი ერებიც კი, რომელნიც მეფის პოლიტიკამ სრულ გადაშენებამდე მიიყვანა და რომელთა ბედ-იღბლის შესახებ არავინ იყო წინათ დაინტერესებული, გარდა ცნობის მოყვარე ეთნოგრაფებისა...

ამ რევოლიუციით საკმაოდ ისარგებლეს დაჩაგრულმა ერებმა და გაინაღდეს თავიანთი მისწრაფებანი.

ოქტომბრის რევოლიუციამ სხვათა შორის ჩვენც მოგვცა თვითგამორკვევის და ენის თავისუფლება.

საბჭოთა რუსეთი აშენებს ახალ თავისუფალ საქართველოს.

საქართველოს დაუბრუნდა ყველა ის კულტურული განძეულობა, რომელიც წინათ იყო აქედან გაზიდული.

სამწუხაროდ ქართველმა შოვინისტებმა თვითგამორკვევის პრინციპი ისე გაიგეს, როგორც რუსული ენის უარყოფა და ხმარებიდან განდევნა.

ვინც რუსულ ენას ებრძვის, ის უკან ეწევა ქართულ კულტურას. რუსული ენის ცოდნა არამც თუ არ დასცემს ქართულ კულტურას, პირიქით უაღრესად განავითარებს მას.

ჩვენი მეცნიერება და კულტურა იქამდის განვითარებული არ არის, რომ შევძლოთ ამა თუ იმ მეცნიერული დარგის საფუძვლიანად შესწავლა ქართულ ენაზე.

ახალი მარქსისტული მსოფლმხედველობა იჭრება მეცნიერების იმ ძველ დარგებში, რომლებიც წინათ ბურჟუაზიულ იდეოლოგიათა ბრჭყალებში იმყოფებოდა.

როგორ შეუძლიან ჩვენს ახალგაზრდობას ზედმიწევნით შეისწავლოს ახალი ცხოვრება, თუ მან რუსული ენა კარგად არ იცის. არც ერთი სხვა ენით ის ამ მიზანს ვერ მიაღწევს. თუ რუსულ ენას ხეირიანად შეისწავლიან ჩვენი ახალგაზრდები, მაშინ მეტი საშუალება ექნებათ სხვა საგნების უკეთ შესწავლისათვის.

ამიტომ რუსული ენის ზედმიწევნითი შესწავლა უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობის გულწრფელი ლოზუნგი.

მასწავლებელი **ხოლომონ მესტიაშვილი.**

# საქართველოს სიმდიდრე

ჩვენში ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მრეწველობის ყოველივე დარგის განსავითარებლად და ქვეყნის ეკონომიურად ასამაღლებლად. რომ თავი დავანებოთ ყველასაგან ცნობილ ჭიათურის მარგანეცს, ჩვენებური ჩაი, აბრეშუმი, ღვინო და მისი ნაწარმოები, თანდათანობით იპყრობს საბჭოთა კავშირის ვებერთელა ბაზარს.

ადრევე გვექნება ქართული ცემენტი და ქართული ქაღალდი.

საქართველოში, კიდევ არის ერთი შესაძლებლობა, რომელსაც ძალუძს კიდევ უფრო მაღლა ასწიოს ქვეყნის ეკონომიური დინამიკა.

ეს არის ჩვენში კურორტების და კლიმატიური სადგურების მოწყობის საქმე.—ამ მხრივ ეხლა ჩვენში ბევრი რამ კეთდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საქმის გაცხოველება არის საჭირო.

იშვიათად თუ მოიძებნება სადმე ისეთი ყოველისმხრივ შემკული მხარე, სადაც იყოს შესაძლებელი მშვენიერი კურორტების და კლიმატიური სადგურების მოწყობა, როგორც ჩვენში.

ჩვენი ქვეყანა, სულ მცირე ნაწილის გამოკლებით, ერთ ვებერთელა კურორტს წარმოადგენს.

ამ საქმის უმაღლესად განვითარება არა მარტო ეკონომიურად გააძლიერებს ჩვენ ქვეყანას, არამედ დიდათ შეუწყობს ხელს და აამაღლებს ხალხის ჯანმრთელობის საქმესაც.

აბასთუმანი, ბორჯომი, წყალტუბო, ახტალა,—ეს ისეთი ადგილებია, რომლის დაგვარი მსოფლიოში თითოოროლა თუ მოიძებნება. კიდევ რამდენი ახალი საკურორტო ადგილების ჩამოთვლა შეიძლება, სადაც ოზონით უხვად შეზავებულ ჰაერთან ერთად, მოჩუხჩუხებს იშვიათი ძვირფასი ღირსების სამკურნალო წყაროები.

შოვი, უწერა, საირმია, ლიბარდე, მუხური, ნაბელ-ლავი,, კაპუჭი, ლაშხეთი და სხ., როგორც ეს ქიმიურმა ანალიზმა დაგვანახვა, მდიდარ ბუნებასთან ერთად შემკულია იშვიათი სამკურნალო წყაროებით, რომელთა მაგვარი მთელ მსოფლიოში იშვიათია.

მარტო კობის ნარზანი რად ღირს? ეს, როგორც ქიმიურმა ანალიზმა დაგვანახა, გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე კისლავოდსკის ნარზანი. ჩვენ კი ამითაც სრულიად ვერ ვსარგებლობთ და მისი მაცოცხლებელი ნაკადი ტყვილა უბრალოდ გიჟმაჟ თერგს შეერთვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუხურის წყარო, რომელიც ზუგდიდის მაზრაში მდებარეობს.—ამისდაგვარი სამკურნალო წყარო მსოფლიოში არც კი იციან. ამ წყაროში ქიმიურმა ანალიზმა აღმოაჩინა 8 პროც. კალციუმი და ბრომის საკმაო რაოდენობა.

თანამედროვე მედიცინა, კალციუმს, ჭლექის მკურნალობაში დიდ მნიშვნელობას აძლევს; ასეთ შემთხვევაში კირიან წყლის ხმარება ფრიად მარგებელია, თუ მივაღებთ მხედველობაში ჩვენში ჭლექით დაავადებულთა სიმრავლეს, ცხადია თუ რა დიდ მნიშვნელობა აქვს ამ წყაროს ჩვენთვის.—ამ წყაროს პირდაპირ ექსპორტის დაწყება სულ ადვილი საქმეა.

ეხლა ბევრს ლაპარაკობენ ქუთაისის ჩამორჩენილობაზე; ეს მართალია, დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქის მაჯის ცემა მოდუნებულია, მას გამოცოცხლება ესაჭიროება.

ეს სულ ადვილი გახდება, თუ საკურორტო მშენებლობა პირველ რიგში იქნება დაყენებული. მთელი რიონის ხეობა, ერთ განუწყვეტელ კურორტს წარმოადგენს, სადაც ყველანაირი სამკურნალო წყაროები მოიპოვება.

ამ ხაზზედ რომ გაშენდეს კურორტები, მაშინ ქუთაისიც გამოცოცხლდება. აუარებელი ხალხი მოაწყდება ამ კურორტებს და ქუთაისის მაჯისცემაც გაცხოველდება.

ჩვენი ქვეყნის სილამაზე და ბუნების სიუხვე შესაძლებელს ხდის ჩვენში ტურიზმის განვითარებას.

თუ კეთილ განწყობილი კურორტები და კლიმატიური სადგურები გვექნება, მაშინ ბევრი უცხოელები გამოეშურებიან ჩვენსკენ, როგორც საქართველოს სილამაზის სანახავად, ისე ჯანმრთელობის აღსადგენად,—და ეხლა თუ ამბობენ „იტალია ნახე და შემდეგ მოკვდიო“, მაშინ იტყვიან „საბჭოთა ივერია ნახე და შემდეგ მოკვდიო“.

**ექ. გრიგოლ კუნჭულია.**

# მშრომელთა მარში

ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
ყველა მშრომელებო!
ფხიზლად დღით და ღამით!
მსოფლიო კაპიტალს
მოაქვს იერიში!
გაუსწოროთ, ძმებო,
ხიშტით ანგარიში!
ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
მშრომელთა ლაშქარო,
წინ, დროშა თამამი!
მოვსპოთ ომი, სისხლი,
მოვსპოთ ვაი-ვიში!
მოვსპოთ მიწის ზურგზე
ჟლეტა-ხოცვის შიში!
ჩვენ ერთი გვაქვს რწმენა,
ყველგან, კიდით-კიდეს;
გვსურს სუფევდეს ლხენა,
ცრემლებს არვინ ღვრიდეს!
ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
მშრომელთ რაზმებო,
წინ, დროშა თამამი!
მტერთა მოდგმა-ჯიში
მოდის იერიშით!
ჩვენც წინ შევეგებოთ
ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
გმირული ხალისით!
ყველა ქვეყნის ძმებო,
დადგა ბრძოლის წამი!
დადგა ბრძოლის წამი!
ჩვენც დროშა თამამი,—
წინ ვატაროთ მედგრად,
მტრების შესახვედრად!
გაუმარჯოს ყველა
მშრომელ ხალხთა ძმობას!
ურთიერთის შველას,
მტერთა ძირს დამხობას!
ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
ძმებო, მშრომელებო,
მტრებს შევასვათ შხამი!
ძირს, ბურჟუაზია!
ძირს, მშრომელთა დევნა!
ევროპა-აზიას:
ძმური გადახვევნა!
ერთი! ორი! სამი!
ერთი! ორი! სამი!
მშრომელთა ლაშქარო,
წინ, დროშა თამამი!

**გ. ქუჩიშვილი.**

---

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების განყოფილება

## სადღეისო საკითხები

ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი მუშური ნაწილი მარქსისტული დროშის გარშემო მოიკრიბა. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციას იმ თავითვე მიზნად ჰქონდა დასახული მარქსიზმის შესწავლა და მისი სათანადო შეთვისება. მაგრამ მაშინვე აშკარა იყო ცალმხრივობა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ იმთავითვე აიღო მენშევიზმის კურსი და მუშური ახალგაზრდობა ჩაება იმ გაუმართლებელ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატია ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი დღეს ბრმისათვისაც ნათელია. მენშევიზმი დაიშალა ბოლშევიზმთან ბრძოლაში, პირიქით ბოლშევიზმი გაძლიერდა და გამაგრდა ამ ბრძოლაში. მენშევიზმს გვერდში ამოუდგა მე-2 ინტერნაციონალი, მან თავი ამოჰყო ბურჟუაზიის ბანაკში. ბოლშევიზმი კი დარჩა რევოლიუციონურ მარქსიზმის სადარაჯოზე.

ამ ბრძოლაში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. სამი წლის შემდეგ აშკარა შეიქნა მისთვის მენშევიზმის უპრინციპობა და რევოლიუციის ღალატი. სწორედ ამით აიხსენება ის გარემოება, რომ როდესაც ქართველი მუშების უდიდესი ნაწილი ჩამოსცილდა მენშევიკურ პარტიას, და დაუბრუნდა საერთო ოჯახს, მაშინ შვიდი ათასმა ახალგაზრდობამ გაამართლა მისი გზა, როგორც ერთად-ერთი რევოლიუციონური და სოციალისტური გზა.

მაგრამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სრულიად ჩამოსცილდა პოლიტიკას. ის პასიურად ეპყრობა მიმდინარე ამბებს, არ იჩენს აქტივობას ამა თუ იმ საქმეში. იგი თითქოს არაფერს გრძნობს თავის გარშემო, არაფერს არ ხედავს თავის ირგვლივ. ერთის სიტყვით, ახალგაზრდობის ეს ნაწილი მეტისმეტად პასიურია, იგი თითქოს პოლიტიკური ბურისითაა მოცული.

როგორი ამოცანაა დღეს დასმული ჩვენს წინაშე და საით უნდა წავიდეს ახალგაზრდობა? აი საკითხი, რომელიც თვალწინ უდგას ყოველ შეგნებულ ახალგაზრდას.

თუ ჩვენ თანამედროვე მომენტს ჩაუკვირდებით, აშკარად შევამჩნევთ, რომ პასუხი სწორედ ამ მომენტში უნდა ვეძიოთ. პოლიტიკური სიჩუმე არავის არ ჩაეთვლება დამსახურებათ ისეთ მომენტში, როცა ყოველი მოქალაქის წინაშე დასმულია დილემა—**ან მუშათა კლასთან, ან მის მტრებთან.** სხვა გზა არ არსებობს. ეს ანბანური ჭეშმარიტება ნათელყოფილია უკვე ისტორიის მთელს მანძილზე. ამ კითხვაზე არც ერთი მუშური ელემენტი ახალგაზრდობისა, **არ დასთმობს მუშათა კლასს.** ის არ მოსცილდება

თავის კლასიურ იდეოლოგიას და არ გადაიბარგება მუშათა კლასის მოპირდაპირეთა ბანაკში. ის მუდამ დარჩება თავის კლასთან, თუ კი ის მატარებელია მუშათა კლასის სოციალური ბუნებისა. ყოველი პროლეტარული ახალგაზრდა მტკიცედ უნდა დადგეს რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. ეს მისი კლასიური მოვალეობაა. დედამიწის ერთ მეექვსედზე დღეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა განმტკიცებული. ეს მუშათა კლასის უდიდესი მონაპოვარია. იდეური და პრექტიკული პლატფორმა მუშური ახალგაზრდობისა საბჭოთა კავშირია. ამიტომ იმ ბურჟუაზიულ და ფაშისტურ გარემოცვის ხანაში, რომელიც ეხლა არსებობს, ახალგაზრდობა იბრძოლებს მუშათა კლასის რიგებში ბურჟუაზიის წინაამდეგ. ამიტომ ვიმეორებთ თამედროვე მომენტში სიჩუმე არამც თუ არ ჩაგვეთვლება დამსახურებად, არამედ პირიქით იგი ჩაგვეთვლება რევოლიუციისა და მუშათა კლასის ღალატად. ამიტომ ეს პასივობა უნდა იქნეს დაგმობილი ყოველი ახალგაზრდა მარქსისტის მიერ. ის ამ შემთხვევაში უნდა დასდგეს მტკიცედ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სადარაჯოზე.

ამიტომ ყოფილი ახალგ. მარქსისტთა შორის მუშაობის ბა, იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობა გამოყვანილი იქნეს იმ პოლიტიკური ბურუსიდან, რომელშიაც ერთი ნაწილია ჩაფლული. საამისო მუშაობა უკვე სწარმოებს. თბილისის ცალკე რაიონებში ხდება ამ ახალგაზრდობის ორგანიზაციული დაკავშირება ლენინიზმთან. მაგრამ მას ესაჭიროება გაშლა-გაძლიერება. ეს მუშაობა უნდა იქნეს ფართოდ გატარებული პერიფერიებში, ხოლო ახალგაზრდობა მტკიცედ უნდა დაკავშირდეს ორგანიზაციულად მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასთან.

ამიტომ ყოფილ ახალგ. მარქსისტთა შორის მუშაობის ერთ მთავარ ლოზუნგათ უნდა გახდეს: **პასივობიდან—ლენინიზმისაკენ—მუშურ-გლეხური ხელისუფლების განსამტკიცებლად.**

**ბ. აბულაძე.**

# წერილები პროვინციიდან

## ახალსოფლის და ახალგავაზის თემებში

**(განათლების ინსტრუქტორის შთაბეჭდილებანი)**

**II**

მერე. მუშაობენ სკოლები ამ მიმართულებით?...

სამწუხაროდ ისევ არქაიული სული მეფობს. ისევ და ისევ მოწაფეებს აკბილოვინებენ საგნებს, რომელთაც არა აქვს კავშირი რაიონის სასიცოცხლო ინტერესებთან. სკოლა არ აძლევს პრაქტიკულ ცოდნას სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების თუ ჯანმთელობის დაცვის საქმეში.

აქტიური მეთოდი აქ ჯერ ისევ ასკინკილას თამაშობს.

მოსახლეობა სხვა თემებში უფრო მეტს ინტერესს იჩენს სწავლებისადმი, ვიდრე აქა. ახალი გაეაზის სკოლის შენობა მემკვიდრეობით არის გადმოცემული რევოლიუციის წინადროიდან. შენობა ფართოა, საკმაო ოთახები, მაღალი ჭერი, განიერი ფანჯრები. მერხები იმაზე მეტი, ვიდრე ამოდენა შენობაში დაეტევა. ბავშვებით უნდა იყოს სავსე აქაურობა.

შევდივარ სკოლაში ბავშვები აკლია. რაა მიზეზი.. სხვაგან საყვედურით ცხვირს გვიჩვრეტენ, რატომ არა გვღებულობთო. სხვაგან მერხები რომ არა გვყოფნის უბრალო ფიცრებზე სხედან, აქ მერხები დაცარიელებულია.. რა ამბავია?..

გამგე მიხსნის, რომ მოსახლეობა მაგრე რიგად თავს არ იწუხებს სწავლა მისცეს შვილსაო. აქ მხოლოდ ორი ჯგუფია, მესამე შევეძლო გაგვეხსნა, მაგრამ არავინ არის მსურველი. გული სევდით იმსჭვალება. ვიცნობ სკოლის გამგეს. კეთილშობილი კაცია, უყვარს სკოლა, მას შეალია თავისი ახალგაზდობა და მაინც მინდა უსაყვედურო, რომ მისი ბრალიც არის.

ჩანს ვერ გაება მოსახლეობაში მჭიდრო ჯაჭვი, ვერ დაიახლოვა, ... დაიწყო მათში სათანადო მუშაობა და სკოლის გაციებული კერა არ გაღურღურა.

ჰიკაანში გადმოვდივარ, აქ მასწავლებელს უკვე გაუთავებია სწავლა. ბევრჯელ სწავლების უნახავად შეიძლება წარმოდგენა იქონიო იმაზე, თუ რას წარმოადგენს მასწავლებლის საქმიანობა. სკოლის კარ-მიდამო გაპარტახებულია, შემოუღობავია. ბევრიც რომ ვეძებო ვერსად წავაწყდები საყვავილეს,—ნაბოსტნარის ხსენება ხომ არსად არის.

საბედნიეროდ აქ მოსახლეობაში მეტად ძრიელი სურვილია სწავლისადმი. სწორედ საკვირველია ასე ახლო-ახლოს იმყოფება ეს ორი სოფელი და რას ვხედავთ? ერთგან გულგრილობა სწავლისადმი, მეორეგან მგზნებარე მისწრაფება. აი გადამელობა რამდენიმე გლეხი და მეტად დამაჯერებლად გვისაყვედურებს, თუ რატომ მეორე და მესამე ჯგუფებს არ გვიხსნითო? გაგონილაო—მეუბნებიან იგინი,—რა აზრი აქვს ერთ ჯგუფს, ეს იმას ნიშნავს თაფლი აილოკინო და აღარ კი ახილოო. თუ გახსნილია პირველი, მეორეც უნდა მოჰყვეს. ბავშვები ისე არიან მოწადინებული, რომ იმ სიშორეზე უდინების სკოლაში დაიარებიან, თუმცა, იქაური ბავშვების ჩამორჩენილობის გამო, ბევრს არაფერსა სწავლობენო.

ჩვენ დავპირდით და აუსრულეთ კიდეც. წელს ჰიკაანში უკვე ორი ჯგუფი არსებობს, იმედია მომავალში მესამეც გაიხსნება.

ამოვყევით ახალსოფელს, იგი გარეგნულად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს ერთად ერთი სოფელია, რომელიც გეგმაზეა გაშენებული. ეს მეტად განიერი და ფართო სოფელი უბნებად დაყოფილია ლარისავით სწორად გაბმული ქუჩებით. კახეთში ყველაზე მდიდარ სოფლებად ითვლება ყვარელი და ახალი სოფელი.

მაშ აქ მაინც უნდა იყოს გაჩაღებული კულტურული მუშაობა. სამწუხაროდ აქაც უნუგეშო სურათია. 900 კომლია სულ, ნახევარზე მეტი შეძლებელი იქნება და ამოდენა სოფელს თეატრის შენობას ვინ იტყვის, აქ მოზრდილი დარბაზიც კი არაა აქვს, რომ თავი მოუყარონ და კულტურულ საზოგადოებრივი საქმეები გაარჩიონ, ხანგამოშვებით მაინც წარმოდგენა დადგან.

მაგრამ რაში ეწარმოდგენებათ, როდესაც სასწავლებელისათვისაც კი არ გააჩნიათ შენობა. მთელი შვიდწლედი მოთავსებულია ხუთიოდე ოთახში და აბა სწავლების რა ინტენსივობას უნდა მოველოდეთ ამ პირობებში.

უდინები სცხოვრობენ ახალსოფლიდან ორი ვერსით მოშორებით, ესენი ძველი ალბანების ნაშიერები არიან. რამდენიმე წელია, რაც აზერბეიჯანიდან გადმოსახლდნენ. მთავრობა დიდის ყურადღებით ეპყრობა და ეს დასტყობია კიდეც სოფელს: იგი ლამაზად არის გაშენებული. ბინები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ამ პატარა სოფელს აქვს სახერხი ქარხანა, კოოპერატივი და ბევრი სხვა. აქაურ სკოლაში სამი ჯგუფია. სამწუხაროდ მოწაფენი მეტად ცოტანი დაიარებიან. პირველ ჯგუფშია 7 მოწაფე, მეორეში—6, მესამეშიც იმდენი. სხვა პირობებში ასე მცირე შემადგენლობის ჯგუფებს შევაერთებდით, მაგრამ აქ წახალისებისთვის სჯობია დარჩეს სამივე ჯგუფი, თუმცა ქართველ მოსახლეობაში დიდს უკმაყოფილებას იწვევს ეს გარემოება. ჩვენ უარს გვეუბნებიან ახალ ჯგუფის გახსნაზე, იქ კი ძოწაფენი არც კი ჰყავთ და მაინც სამი ჯგუფი აქვთო.

სამწუხაროდ ამ სკოლაში სწავლა მოუწესრიგებელია. პირველ ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის გამგე უდინი ჯეირანაშვილი, რომელმაც ქართული არ იცის, ორიოდე სიტყვის გადაბმას ძლივს ახერხებს და, ცხადია, ბავშვებს ის ჩვენს ენას ვერ შეასწავლის. უხდა მოხდეს გადანაცვლება. ჯეირანაშვილს დაეტოვოს მხოლოდ უდინური და რუსული ენები, ხოლო პირველ ჯგუფში ასწავლოს ჯეირანაშვილის მეუღლემ, რომელიც ქართველია.

სკოლების დათვალიერებას მოჰყვა მასწავლებელთა კონფერენცია. მოხსენებები გააკეთეს გამგეებმა და ჯგუფების მასწავლებლებმა. აქ რამდენიმე ისეთი მასწავლებელი ურევია, რომ ორი სიტყვაც კი ვერ გვითხრა თავის მუშაობის თაობაზე. ასეთ ბლუ და უხერხემლო მასწავლებელი როგორ აღზრდის ახალ თაობას, რომელიც აქტიური წევრი უნდა იყოს საზოგადოების? რამდენიმე მასწავლებელი ერია, რომელსაც ბევრი უფიქრია ჩვენს ახალ პროგრამებზე და უცდია თავისებურად ადგილობრივ პირობების თანახმად რაიმე ცვლილება შეეტანა კონფერენციაზე ერთ-ორ მასწავლებელმა სცადა დაემტკიცებია. რომ სკოლის ცხოვრებაში ახალი პედაგოგიური პრინციპების შემოტანა უდროულია. ექსპერიმენტი ბავშვს ლაგვიმახინჯებსო, რალაც საზოგადოებრივ სასარგებლო სამუშაოს ჩატარების მოთხოვნით, თქვენ იქამდის მიდიხართ. რომ სკოლა ფორმალური ცოდნა-შეჩვევების მიცემასაც ველარ ახერხებსო.რა თქმა ამ მასწავლებელთა პირით ლაღადებდა ულტრა კონსერვატიული სულის მქონე ადამიანები. საბედნიეროდ სხვა მასწავლებლებმა შესაფერისად გაარჩიეს და გააკრიტიკეს ეს უილაჯო დებულება.

ახალსოფლის შვიდწლედის გამგეთ დანიშნულია თელავის პედაგოგიურ ტეხნიკუმ დამთავრებულ ვანო ამბროსიძე. უეჭველია მისი ხელი რაოდენადმეე დასტყობია სკოლას, მაგრამ მისგან მეტი უნდა მივიღოთ. ის მთელი რაიონის მასწავლებლებისათვის ტონის მიმცემი უნდა იყოს. მან უნდა ითავოს და ჩაუდგეს სათავეში პედაგოგიურ კოლექტივს, რათა მასწავლებელთა თვითგადამზადების გზით რაოდენადმე მაინც აიწიოს მათი განვითარების დონე. პედაგ. ტეხნიკუმ დამთავრებულნი უნდა ყველგან წარმოადგენდნენ დვრიტას ჩვენი ახალი კულტურის ასაყვავებლად.

კონფერენციას დაუსახეთ მთელი რიგი ამოცანები, რომელთა განხორციელება დავავალეთ უახლოეს დროს განმაველობაში ვნახოთ როგორ შეასრულებენ.

**დ. თურდოსპირელი.**

## სარედაქციო კოლეგია

ტფილისის ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქუჩა, № 68. ტირაჟი 10,000.